პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 4 თებერვალი, 1945 წ. № 25 (7240). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ტრაქტორების რემონტის გადამწყვეტი თვე. მოწინავე (1-ლი გვერდი).
საშუალო სკოლის უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა. „პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 3 თებერვლის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).
საერთაშორისო მიმოხილვა (მე-2 გვერდი).
სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ნებისყოფის აღზრდის შესახებ (მე-3 გვერდი).
გადაცემა მედლისა „კავკასიის დაცვისათვის" (მე-3 გვერდი).
უკრაინელ მაღაროელთა დელეგაცია თბილისში (მე-3 გვერდი).
ირაკლი აბაშიძე. როცა ბრანდენბურგს უახლოვდები (მე-3 გვერდი).
კალე ბობოხიძე. ფრონტელი შვილის წერილი მამისადმი (მე-3 გვერდი).
„უმზითვო" კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

ტრაქტორების რემონტის გადამწყვეტი თვე

ძლევამოსილი წითელი არმია, გენიალური ბელადის დიდი სტალინის წინამძღოლობით, გზას იკაფავს ბერლინისაკენ. საბჭოთა ქვემეხების მძლავრი გრიალი გაისმის აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე, დასავლეთ პოლონეთში, გერმანულ სილეზიაში, ბრანდენბურგში, ჩეხოსლოვაკიაში და უნგრეთის ველებზე. წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებული საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. მათ კარგად იციან, რომ მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

სოფლის მეურნეობის სახელოვან ადამიანთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მტს-ების მუშაკებს. შარშან საქართველოს მტს-ებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს და გააუმჯობესეს დახმარება კოლმეურნეობებისადმი. ამას ისიც მოწმობს, რომ 1944 წელს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა მტს-ებმა 112,6 პროცენტით შეასრულეს.

სამშობლო და ფრონტი მოითხოვენ ორგანიზებულად, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები. ამ ამოცანის გადაჭრის ერთ-ერთი მძლავრი პირობაა სატრაქტორო პარკის საუკეთესოდ მომზადება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ტრაქტორების საშემოდგომო - საზამთრო რემონტი წელს უკეთესად მიმდინარეობს, ვიდრე შარშან. წარმატებით შესრულდა ტრაქტორების საშემოდგომო - საზამთრო რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა და იანვრის დავალება. კასპის, დუშეთის, წნორის, წითელქალაქის, მახარაძის, ლანჩხუთის, აბაშის, ცხაკაიას, ქუთაისის, წულუკიძის, ზესტაფონის და სხვა მტს-ებმა მთავრობის მიერ დაწესებულ ვადამდე შეასრულეს რემონტის წლიური გეგმები. ამას დიდად შეუწყო ხელი [illegible] მტს-ის მუშაკთა კოლექტივის მოწოდებამ ტრაქტორების რემონტის საუკეთესოდ მოწყობისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

მთელი რიგი მტს-ების დირექტორები და პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ რემონტის გრაფიკის დაცვას. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს წნორის მტს-ის მუშაობა. მტს-ის სარემონტო სახელოსნოში დაყენებულია სრული წესრიგი. აქ აითვისეს მთელი რიგი სათადარიგო ნაწილების დამზადება. კარგად იმუშავეს სათადარიგო ნაწილების დამზადების დარგში აბაშისა და ცხაკაიას მტს-ებმაც.

ახლა როდესაც სარემონტო კამპანია გადამწყვეტ პერიოდში შევიდა, ტრაქტორების შეკეთების ტემპების გაძლიერებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხარისხს. დიდი და პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ შეკეთებული ტრაქტორების მიმღებ სახელმწიფო კომისიებს. მათ, ჯერ ერთი, გულმოდგინედ, საფუძვლიანად უნდა შეამოწმონ თვითეული შეკეთებული ტრაქტორი, შეამოწმონ ყოველი დეტალი, მთელი მექანიზმები; მეორე—ცუდად შეკეთების შემთხვევაში მიიღონ ზომები დეფექტების დროულად გამოსასწორებლად. სახელმწიფო კომისიები პასუხისმგებელი არიან ტრაქტორების შეუფერხებელი მუშაობისათვის. ეს ავალებს მათ მთელი სერიოზულობით მოეპყრან რემონტის ხარისხის შემოწმებას.

ბევრგან ტრაქტორების რემონტის ხარისხს დიდ ყურადღებას აქცევენ. ასეა მაგალითად, წნორის, წითელწყაროს, ასურეთის, ცხაკაიას, აბაშისა და საგარეჯოს მტს-ებში. მაგრამ არის ხარისხისადმი უყურადღებობის შემთხვევებიც. წალკის მტს-ში შეკეთებულად სთვლიან ისეთ ტრაქტორს, რომელსაც ყველა ნაწილი სრულ წესრიგზე არ აქვს მოყვანილი. ახალქალაქის მტს-ში ადგილი ჰქონდა თვალის ახვევის ფაქტებს და ამავე დროს დავიწყებული იყო ხარისხი.

ზოგან ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია რემონტის ტემპი. თელავის მტს-ს 1 თებერვლისათვის უნდა შეეკეთებინა 17 ტრაქტორი, ფაქტიურად შეკეთებულია 15. ზუგდიდის მტს-ში 26 ტრაქტორიდან 21 იყო შეკეთებული. დიდად ჩამორჩა წალკის მტს-ი. აქ 1 თებერვლისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ტრაქტორისა შეკეთებული იყო მხოლოდ 9. ზემოაღნიშნული მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ რემონტის დასაჩქარებლად.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამიწათმოქმედო ორგანოები ვალდებული არიან მეტი ყურადღება დაუთმონ მტს-ებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას, უფრო მეტად იზრუნონ მოწინავე მტს-ების გამოცდილების გასავრცელებლად.

რემონტის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა მინდვრის სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის. ეს გვავალებს:

პირველი, ყოველდღიურად ვიზრუნოთ შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, სარემონტო სახელოსნოების საჭირო ინსტრუმენტებით, ხელსაწყოებით, დანადგარებით, საწვავ-საცხები მასალით უზრუნველსაყოფად.

მეორე, ამთავითვე ვიზრუნოთ მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად. მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ტრაქტორები უზრუნველვყოთ საუკეთესო მძღოლებით.

თებერვალი გადამწყვეტი თვეა ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულებისათვის. მაშ, გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, დავძაბოთ მთელი ძალები, საუკეთესოდ დავამთავროთ ტრაქტორების საზამთრო რემონტი და სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გავიმარჯვოთ.

საბჭოთა წითელი ჯვრის დახმარება პოლონეთის მოსახლეობას

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა პოლონეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობას ორი პარტია მედიკამენტები, შესახვევი მასალა, სამედიცინო ინსტრუმენტები გაუგზავნა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული პოლონეთის რაიონების მოსახლეობისათვის.

ამანათებში არის კომპლექტი ქირურგიული ოპერაციებისათვის, რენტგენოგრაფიული აფსკები, გაშეშების საწინააღმდეგო და დიფტერიის საწინააღმდეგო შრატი, მედიკამენტები და შესახვევი მასალა.

პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ე. ოსუბკა-მორავსკიმ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ს. ა. კოლესნიკოვს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც ნათქვამია:

„გულითად მადლობას გიძღვნით მედიკამენტებისა, ინსტრუმენტებისა და შესახვევი მასალისათვის, რომელიც სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებამ გამოგზავნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა უღელქვეშ განაწამები პოლონეთის მოსახლეობისათვის. პოლონეთის საზოგადოებრიობამ დიდი მადლობით მიიღო თქვენი დახმარება". (საკდესი).

სრულიად-საკავშირო აგრონომიული თათბირი

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატმა მოიწვია სრულიად-საკავშირო აგრონომიული თათბირი. თათბირში მონაწილეობენ საბჭოთა მეურნეობებისა და ტრესტების დირექტორები, უფროსი აგრონომები, ინჟინრები და უფროსი მექანიკოსები.

თათბირი გახსნა სახალხო კომისარმა ამხ. პ. პ. ლობანოვმა, რომელმაც აღნიშნა წარმატებანი, რასაც საბჭოთა მეურნეობებმა გასულ წელს მიაღწიეს. სახელმწიფოს ჩაბარდა ორნახევარჯერ მეტი პური, ვიდრე 1943 წელს. სხვა პროდუქტების ჩაბარების ვალდებულებანი გადაჭარბებით არის შესრულებული, გაიზარდა პირუტყვის სულადობა, მოიმატა მისმა პროდუქტიულობამ. თათბირის ამოცანაა — დასახოს ღონისძიებანი 1945 წელს საბჭოთა მეურნეობების მუშაობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ე. ს. ბალიასნიმ თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მეურნეობების ძირითადი ამოცანაა—უახლოეს ორ წელიწადში აღადგინონ მარცვლეულის, საკვები და ტექნიკური კულტურების სათესი ფართობები ომამდელ ოდენობამდე და გაადიდონ მარცვლეულის საერთო მოსავალი. მომხსენებელმა დაასახელა მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც უკვე მიაღწიეს ამას. მაგალითად, კრასნოდარის მხარის კალინინის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ გერმანელი დამპყრობლებისაგან მხარის განთავისუფლების მეორე წელს გადააჭარბა ომამდელ ფართობს.

მოხსენება ტრაქტორების რემონტის მიმდინარეობისა და სამანქანო პარკის მომზადების შესახებ გააკეთა სახალხო კომისარიატის აგროტექნიკისა და მექანიზაციის განყოფილების მთავარმა ინჟინერმა ამხ. კაზანსკიმ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აკადემიკოსი ლისენკო, პროფესორები ჩიჟევსკი, ხარჩენკო, სელეზნევი და სხვები.

თათბირი რამდენიმე დღეს გასტანს. (საკდესი).

მოსკოვი და ლენინგრადი წიგნებს უგზავნიან ლატვიას

ფაშისტმა ბარბაროსებმა დასწვეს რიგის უძველესი საქალაქო ბიბლიოთეკის 300 ათასამდე წიგნი, წაიღეს მთელი ძვირფასი წიგნები საშაზრო და სათემო ბიბლიოთეკებიდან.

საბჭოთა ლატვიის წიგნის ფონდის აღდგენას ხელს უწყობენ მოსკოვისა და ლენინგრადის ბიბლიოთეკები. მოსკოველებმა 300 ბიბლიოთეკა გაუგზავნეს სკოლებისათვის. ლენინგრადელებმა 25 ათასი სხვადასხვა წიგნი გაუგზავნეს. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 თებერვლის ოპერატიული ცნობა

3 თებერვალს აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს განაგრძობდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის შპიტენენი, აისკორნი, კაუსკაიენი, რაიხენბერგი, პეტერსვალდე, ბრონა, ზომერფელდი.

ქალაქ შნაიდემიულის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით დაიკავეს ქალაქები ფროიდენფირი, შლოპე, აგრეთვე დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის იაგდჰაუზი, კლავიტერსდორფი, ზაგემიული, კვირიმი, კარლსრუე, არმსფელდე, რუშენდორფი, მელენტინი.

ოდერის ფრანკფურტის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ქალაქები ვიტცი, ზონენბურგი, ცილენციგი, რეპენი, შტერნბერგი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. კიუსტრინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ტყეებში გარშემოერტყნენ გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვან ჯგუფს და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ სრულიად გაანადგურეს იგი, ამასთან ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 163 ქვემეხი, 55 ნაღმსატყორცნი, 167 ტყვიამფრქვევი, 1.626 ავტომანქანა, 500 მოტოციკლი, 200 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად. ტყვედ წამოყვანილია 9.450 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრძოლის ველზე დარჩა 8.000-ზე მეტი მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბუდაპეშტში ქალაქის დასავლეთ ნაწილში (ბუდაში) მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონის მოსასპობად გრძელდებოდა ბრძოლები, რომელთა მსვლელობაშიც ჩვენმა ჯარებმა 10 უბანი დაიკავეს.

ქალაქ სეკეშფეხერვარის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა იერიშების შედეგად წინ წაიწიეს 20 კილომეტრამდე, ამასთან დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კიშველენცე, გარდონი, ადონი-საბოლჩი, პერკატა, ხერცეგფალვა, შარბოგარდი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

2 თებერვალს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 176 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 21 თვითმფრინავი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა გაფთრებული ბრძოლების მსვლელობაში დასძლიეს რკინა-ბეტონის ხანგრძლივ საცეცხლე წერტებში ჩასაფრებულ გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავეს დასახლებული პუნქტი შპიტენენი, რომელიც მდებარეობს 3 კილომეტრზე ქალაქ ბარტლენშტაინის დასავლეთით. სხვა ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს 15 კილომეტრამდე და ბრძოლებს ეწევიან ქალაქ ლანდსბერგის — გზატკეცილების დიდმნიშვნელოვანი კვანძის მისადგომებზე. ამ ბრძოლებში გერმანელებმა 6 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მარტო მოკლულთა სახით. მოსპობილია 68 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 33 ჯავშანტრანსპორტიორი და 50 საველე ქვემეხი. ყველგან ყრია ჰიტლერელთა მიერ მიტოვებული დამსხვრეული ტექნიკა და საჭურველი. ხელთ ვიგდეთ დავლა, მათ შორის 25 ორთქლმავალი, 500 რკინიგზის ვაგონი, 69 საწყობი და 470 ავტომანქანა. ტყვედ წამოვიყვანეთ მოწინააღმდეგის 700 ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა მეომრები მამაცობასა და გულადობას იჩენენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯავშანმტვრეველმა მიხეილ გორიაჩევმა, მტრის კონტრიერიშის მოგერიებისას, გერმანელთა ორი ტანკი დასწვა. ლეიტენანტ კატარუშის თვითმავალი ქვემეხის ეკიპაჟმა, რომელიც ქვეითი ჯარის შეტევას ეხმარებოდა, ერთ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 4 ტყვიამფრქვევი, 1 ქვემეხი, ჯავშანტრანსპორტიორი და გაჟლიტა რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. მსროლელი ათეულის მებრძოლებმა სერჟანტ ბლიზნიუკის მეთაურობით ხელჩართულ შეტაკებაში გასწყვიტეს 20 გერმანელი და წამოიყვანეს 7 ტყვე.

* * *

ქალაქ შნაიდემიულის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და ქალაქ შლოპეს მისადგომებზე გავიდნენ. გერმანელთა გარნიზონი, რომელმაც ხელსაყრელი და წინასწარ მომზადებული პოზიციები დაიკავა, გაფთრებულ წინააღმდეგობას ეწეოდა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა უკანდასახევი გზები მოუჭრეს მოწინააღმდეგეს, შემდეგ კი იერიშით აიღეს ქალაქი შლოპე — გზატკეცილების კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი. მეორე უბანზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ფროიდენფირი. მოსპობილია ორ ბატალიონამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი, დამწვარი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 14 ტანკი.

* * *

ქალაქ ოდერის ფრანკფურტის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი გაუარესდა, საბჭოთა ნაწილები მტკიცედ მიიწევენ წინ, სპობენ თავიანთ გზაზე მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტების გარნიზონებს. გაფთრებული ბრძოლების შემდეგ დაკავებულია ქალაქი ზონენბურგი, რომელიც მდებარეობს 8 კილომეტრზე ციხე-ქალაქ კიუსტრინიდან. ჩვენმა ჯარებმა სწრაფი შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან იერიშის შედეგად დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი ქალაქი ცილენციგი. მტრის ჯარები განდევნილი არიან ქალაქ რეპენიდან, რომელიც მდებარეობს 18 კილომეტრზე ოდერის ფრანკფურტის აღმოსავლეთით. ბრძოლების მსვლელობაში განადგურებულია მტრის რამდენიმე ნაწილი, რომლებიც ახლახან მოიყვანეს ფრონტის ამ უბანზე. სხვა დავლასთან ერთად ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 350 რკინიგზის ვაგონი და პლატფორმა, მათგან 16 პლატფორმა თვითმფრინავებიანად.

* * *

ქალაქ სეკეშფეხერვარის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდ ძალებს და ამ უკანასკნელ ხანს არაერთგზის სცადა მოშველებოდა ქალაქ ბუდაპეშტში გარშემორტყმულ თავის დაჯგუფებას. როგორც უკვე ვიუწყებოდით, გერმანელებმა უდიდესი ზარალის ფასად თავდაპირველად მოახერხეს რამდენადმე წინ წამოწევა. ჩვენმა ჯარებმა თავდაცვითს ბრძოლებში მოჰქანცეს მტერი და ძლიერი იერიშები მიიტანეს. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან დარტყმით საბჭოთა ტანკისტებმა, ქვეითებმა და არტილერისტებმა გატეხეს მტრის წინააღმდეგობა და გარშემოარტყნენ გერმანელთა ჯარების ჯგუფს. ხანმოკლე ბრძოლაში ყოველი მხრიდან გარშემორტყმული მტრის ჯგუფი მოსპობილ იქნა. მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში გაჟლეტილია 2.000-ზე მეტი ჰიტლერელი, დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 39 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი. ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის მრავალი ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი და ავტომანქანა.

* * *

ბელორუსიის მე-2 ფრონტზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა მე-18 მოტოდივიზიის 30-ე მოტოპოლკის 1-ლი ბატალიონის მეთაური კაპიტანი ჰენრიხ დეპტა. მან განაცხადა: „საბჭოთა ჯარების შეტევის უმაგალითო გაქანებამ თავზარი დაგვცა. მე მონაწილეობას ვიღებდი გერმანიის არმიის ლაშქრობაში საფრანგეთში, ვომობდი აფრიკაში, იტალიაში და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვადასხვა უბანზე. ვიყავი მრავალ ბრძოლაში და ბევრი მწარე წუთი განმიცდია, მაგრამ ისეთი დამარცხება, როგორიც ჩვენ იანვრის დღეებში განვიცადეთ, არასოდეს არ განმიცდია. ჩემი ბატალიონი, რომელშიც 650 აქტიური მეომარი ითვლებოდა, მოსპობილ იქნა რამდენიმე დღეში. რუსთა ჯარების ელვისებურმა დარტყმებმა სულით დასცეს არა მარტო ჯარისკაცები, არამედ ოფიცრებიც. ახლა გონებაშეზღუდული და ბეცი ოფიცრებიც კი ხედავენ, რომ გერმანია უფსკრულის პირას დგას. 30-ე მოტოპოლკის მეთაური პოლკოვნიკი შენე და მე-18 მოტოდივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ბელზენი პირად საუბრებში ხშირად ამბობდნენ: ახლა, როცა ყველასათვის აშკარაა გერმანიის კრახი, უაზროა წინააღმდეგობის განგრძობაო. ასე ფიქრობს მრავალი ოფიცერი, მაგრამ ისინი ვერ ბედავენ იმოქმედონ. წითელი არმიის შეტევამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ომი მალე დამთავრდება გერმანიის არმიის სრული განადგურებით და ჰიტლერული რეჟიმის მოსპობით. მე მივხვდი, რომ შექმნილ პირობებში უაზროა ბრძოლის განგრძობა და გადმოვედი წითელი არმიის მხარეზე".

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა გერმანიაში

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესი). ლონდონის რადიო იმოწმებს ნეიტრალური ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლებს და გადმოგვცემს, რომ გერმანიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებიდან ბერლინში კვლავ დიდძალი ლტოლვილი ჩადის. მათი რიცხვი ყოველდღე მატულობს. ბერლინის ქუჩებში აურიცხელი ქალი და ბავშვი კარდაკარ დადის და მოწყალებას თხოულობს. მასობრივ ევაკუაციასთან დაკავშირებით აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქების ადმინისტრაციული ორგანოები ყოველგვარ საქმიანობას სწყვეტენ. ხელისუფლებას ამ ქალაქებში გესტაპოელები ახორციელებენ. ჰიტლერელი ჯარისკაცები იტაცებენ ევაკუირებულთა ქონებას. სამხედრო ხელისუფალნი იძულებული გახდნენ ბრძანება გამოეცათ, რომელშიც ნათქვამია, რომ ქონების დატაცებისათვის ჯარისკაცები უსასტიკესად დაისჯებიან.

ამერიკის 1.000 ბომბდამშენი თავს დაესხა ბერლინს

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესი). ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მოქმედი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბმა ცნობა გამოაქვეყნა, რომ 3 თებერვალს ამერიკის ათასზე მეტი ბომბდამშენი თავს დაესხა სამხედრო ობიექტებს ბერლინის ცენტრში. 400-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი თავს დაესხა სინთეზური საწვავის ქარხნებს მაგდებურგის გარეუბანში და მახარისხებელ სადგურებს მაგდებურგში. ბომბდამშენებს თან ახლდა 900-ზე მეტი ავიაგამანადგურებელი.

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამერიკის ბომბდამშენებმა 3 თებერვალს 2.500 ტონა ფუგასური და ცეცხლგამჩენი ბომბი დაყარეს ბერლინის ცენტრს.

მთავრობის კრიზისი ბელგიაში

ლონდონი, 2 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ბრიუსელიდან გადმოგვცემს, ბელგიის რეგენტმა დღეს დილით, როგორც ფიქრობენ, მთავრობის კრიზისის მოგვარების მიზნით თათბირი გამართა. რეგენტმა პიერლოს სთხოვა ერთხანს გაუძღვეს საქმეს.

მთავრობის გადადგომის შესახებ პიერლოს განცხადებას წინ უძღოდა მთავრობიდან სოციალისტი მინისტრების გასვლა.

მინისტრთა კაბინეტის დღევანდელი სხდომის შემდეგ პიერლომ განაცხადა, რომ მან სთხოვა სოციალისტური პარტიის წევრ მინისტრებს არ გადადგნენ და განაგრძონ მუშაობა პარლამენტის სხდომამდე, რომელიც 6 თებერვალს შესდგება. ხსენებული მინისტრები ამას დათანხმდნენ.

საშუალო სკოლის უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა

საზამთრო არდადეგების შემდეგ ჩვენი მოსწავლეები კვლავ შეუდგნენ დაძაბულ სწავლას. აქტიურად მიმდინარეობდა მასწავლებელთა იანვრის რაიონული თათბირები, რომლებზედაც განხილულ იქნა სასკოლო ცხოვრების უაღრესად აქტუალური საკითხები: მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლების შესახებ; გამეორების მეთოდიკის საფუძვლები.

როგორც პირველი ნახევარი წლის, ისე მასწავლებელთა იანვრის თათბირების შედეგებმა გვიჩვენეს იმ ამოცანების მთელი მნიშვნელობა და სირთულე, რომლებიც სკოლას დაუსახა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებამ „სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ცნობილია, რომ ამ გადაწყვეტილებით იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც დაწყებითსა და შვიდწლიან სკოლებს ამთავრებენ, დაწესებულია გამოსაშვები გამოცდების სავალდებულო ჩაბარება, ხოლო იმ პირებისათვის, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, — გამოცდების ჩაბარება სიმწიფის ატესტატზე. ის მოსწავლეები, რომლებიც სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარებისას თვალსაჩინო წარმატებას გამოიჩენენ და ჩინებული ყოფაქცევისა იქნებიან, ოქროს და ვერცხლის მედლებით იქნებიან დაჯილდოებულნი. გამოსაშვები გამოცდები შემოღებულია უკვე მიმდინარე სასწავლო წლიდან, მათი მიზანია გამოარკვიონ მოსწავლეთა ცოდნის სისრულე და სიმტკიცე.

საბჭოთა მთავრობის ეს გადაწყვეტილება უაღრესად მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს საშუალო სკოლის ჩასატარებელ რეფორმაში, რომელიც მიმართულია სწავლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლებისაკენ.

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ მთავრობა ჯერ კიდევ ომის პირობებში იწყებს სკოლის ესოდენ სერიოზულ გარდაქმნას. მომავალი გიგანტური შემოქმედებითი მუშაობა ჩვენს ქვეყანაში ბევრ მაღალკვალიფიციურ საბჭოთა სპეციალისტს მოითხოვს. და უმაღლესი სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში დასძლევს წარმატებით თავის ამოცანებს, თუ იგი საშუალო სკოლიდან მიიღებს მოწიფულ შევსებას, მცოდნე ადამიანებს, რომელთაც აქვთ მტკიცე, სრულფასოვანი ცოდნის აუცილებელი მარაგი, რომელთაც უნარი აქვთ საქმეში გამოიყენონ ეს ცოდნა, შეუძლიათ დამოუკიდებლად შეიძინონ წიგნიდან ცოდნა, თუ საშუალო სკოლიდან მიიღებს ადამიანებს, რომლებიც აღზრდილი იქნებიან სოციალისტური სამშობლოს და ლენინ-სტალინის დიადი საქმის მგზნებარე სიყვარულის სულისკვეთებით.

შემთხვევითი როდია აგრეთვე ის გარემოება, რომ გამოცდები სიმწიფის ატესტატზე იწყება წერითი სამუშაოთი რუსულ ენასა და ლიტერატურაში. დაწესებულია, რომ იმ მოსწავლეს, რომელიც ამ საგნებში სამიანზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს, შემდგომი გამოცდების ჩაბარებაზე არ დაუშვებენ. ამით განსაკუთრებული ხაზგასმით არის აღნიშნული მოთხოვნა—საშუალო სკოლიდან გამოშვებულ იქნან მცოდნე ადამიანები, რომლებიც კარგად არიან დაუფლებულნი ზეპირ და წერით მეტყველებას.

დიდი და რთული ამოცანები დგას ამჟამად სახალხო განათლების ორგანოების წინაშე, საბჭოთა მასწავლებლობის არმიის წინაშე, მილიონობით მოსწავლეთა წინაშე. ამოცანების სირთულეს აძლიერებს მთელი რიგი გარემოებანი: სასწავლო პროგრამის არასაკმაო ღრმად შესწავლა ომის გასულ წლებში, კლასების შემადგენლობის სიჭრელე, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და ნივთების მეტისმეტი ნაკლებობა და, ბოლოს, ბევრი სკოლის არადამაკმაყოფილებელი მოწყობა (სადგომები, მათი გათბობა, მოსწავლეთა კვება და ჩაცმა და სხვ.).

მთავარი და ძირითადი ეს არის, რომ მთელი თანმიმდევრობით, გულმოდგინებით და ღრმა მოფიქრებით განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნა სწავლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლების შესახებ. მოუფიქრებლობას, აჩქარებას, ფორმალიზმს ამ ამოცანების განხორციელების დროს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენს მოსწავლეებზე, ჩვენს მასწავლებლებზე, შეასუსტოს მათი რწმენა საკუთარი ძალებისადმი, ხელი შეუშალოს საბჭოთა ხალხური ინტელიგენციის ახალი კადრების მომზადების საქმეს.

პირველი ნახევარი წლის შედეგებმა, ერთი მხრივ, გვიჩვენეს, რომ მთავრობის 1944 წლის 21 ივნისის დადგენილება საბჭოთა მასწავლებლობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო, ხოლო, მეორე მხრივ, ამ შედეგებმა გამოამჟღავნეს სახალხო განათლების ორგანოების ერთგვარი მოუმზადებლობა ამ გადაწყვეტილების შესრულებისათვის. ამ ნაკლოვანებებზე ილაპარაკა ბევრმა მასწავლებელმა იანვრის რაიონულ თათბირებზე.

ამხ. სერებრიაკოვი, ბოგაევსკის (სარატოვის ოლქის ეროშილოვის რაიონი) საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, საბუთიანად ამბობდა:

— ჩვენში ახლა ასე ხდება: წარსულ წლებში მთელი რიგი პირობების ძალით, რომლებიც ომით არის გამოწვეული, ზოგიერთ საგანს ნაჩქარევად სწავლობდნენ, ბავშვები ვერ იღებდნენ მტკიცე ცოდნას, ახლა კი იძულებული ვართ ავინაზღაუროთ დანაკლისი. ამიტომ არის, რომ გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა დატვირთვა ამჟამად პირდაპირ აღემატება მათ ძალებს, და გამეორება ძალიან ხშირად ფორმალურად ხდება: მოსწავლეებს ეუბნებიან მხოლოდ, შინ სახელმძღვანელოს ამდენი და ამდენი გვერდი უნდა წაიკითხოთო. ამასთან არ გამოჰყოფენ მთავარს, ძირითადს. და ეს ძნელი გასაკეთებელიც არის, განსაკუთრებით გამოუცდელი, დამწყები მასწავლებლებისათვის.

მასწავლებელთა თათბირზე მოსკოვის ლენინგრადის რაიონში 642-ე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ს. ე. პანტელეევა შეწუხებით ლაპარაკობდა, რომ გამეორების ბუნდოვანი მოწყობის შედეგად ბევრმა მოსწავლემ, რომლებიც წინათ კარგად სწავლობდნენ, მკვეთრად იწყო ჩამორჩენა, ორიანების მიღება, ვერ სძლევს მასალას. ხშირად ისე ხდება, რომ ერთი და იმავე დღისათვის გეოგრაფიის მასწავლებელი გასამეორებლად იძლევა ტექსტის 20-30 გვერდს, გეოლოგი—ამდენსავე; შემდეგ გასამეორებლად მასალას იძლევიან კიდევ ისტორიის, მათემატიკისა და სხვ. მასწავლებლები.

ნასწავლის გამეორება სასკოლო ცხოვრების ერთ-ერთი უაღრესად მტკივნეული და მწვავე საკითხი გახდა. ამ დარგში სახალხო განათლების ორგანოებს ცოტა შეცდომა როდი ჩაუდენიათ. საჭიროა ხომ გათვალისწინებულ იქნას არა მარტო ის, თუ რა განმეორდეს, არამედ ისიც, როდის და როგორ განმეორდეს ნასწავლი. აქედან გამომდინარეობს საჭიროება ვიფიქროთ მოსწავლის დროის ბიუჯეტზე, მისთვის დახმარებაზე, მისი საშინაო მეცადინეობისადმი კონტროლზე, იმაზე, რომ გამეორება ხდებოდეს მოფიქრებულად და არა ფორმალურად, ისე, რომ უთუოდ უზრუნველყოფილ იქნას მიმდინარე სასწავლო პროგრამის სერიოზული შესწავლა.

სწორად იქცევა ი. კ. ნოვიკოვი, მოსკოვის 110-ე სკოლის დირექტორი, როდესაც იგი ზუსტად აწესრიგებს სხვადასხვა მასწავლებლის მიერ მიცემულ საშინაო დავალებათა მოცულობას, აწესებს საშინაო დავალებათა ისეთ კონკრეტულ მოცულობას, რომელიც რეალური და დასაძლევია. მაგრამ ამხ. ნოვიკოვი უძველესი, გამოცდილი პედაგოგია, და ეს მას ძალუძს. ხოლო რა ბევრი ახალგაზრდა პედაგოგი გვყავს, რომლებიც თვითონ საჭიროებენ დახმარებას, რჩევას, თუ როგორ მოაწყონ უკეთ ნასწავლის გამეორება. და, სამწუხაროდ, ისინი ხშირად ამ დახმარებას ვერ იღებენ სახალხო განათლების ორგანოებისაგან და არ იციან, თუ უკეთ როგორ მოამზადონ მოსწავლეები გამოცდებისათვის.

მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ თუ გასამეორებლის დიდ მოცულობას გამოვედევნებით, ამან შეიძლება გააუარესოს მიმდინარე პროგრამის შეთვისება და ახალი სახის ფორმალიზმი წარმოშვას სასწავლო მუშაობაში. მოსწავლეებს სრულფასოვანი, მტკიცე ცოდნის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო ცხოვრებიდან, პედაგოგიური პრაქტიკიდან სავსებით იქნება განდევნილი ფორმალიზმის თვით უმცირესი გამოვლინებანი.

სკოლამ მთელი თავისი ძალები უნდა მოანდომოს იმას, რომ დაეხმაროს თავის აღსაზრდელებს მტკიცედ დაეუფლონ ცოდნას. როცა ვადიდებთ მოთხოვნებს მოსწავლეებისადმი, მასწავლებლებს მოვუწოდებთ მთელი ძალები მოახმარონ მოსწავლეთა სწავლების მაღალ ხარისხს, აგრეთვე უნდა გავადიდოთ მოთხოვნები სახალხო განათლების ორგანოებისადმი.

სკოლაში სწავლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია განათლების სახალხო კომისარიატების ზუსტ ხელმძღვანელობაზე, სახალხო განათლების ორგანოების ოპერატიულობასა და მოქნილობაზე, მასწავლებლისათვის მათ მიერ გაწეულ ყოველდღიურ დახმარებაზე.

ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების საქმე პარტიისა და მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს წარმოადგენს. სახალხო მასწავლებლის წოდება ჩვენში საპატიოა. სკოლები სარგებლობენ საბჭოთა საზოგადოებრიობის მზრუნველობითა და ყურადღებით. მით უმეტეს შეუწყნარებელია ჩვენი სკოლების, მოსწავლეების, მასწავლებლების საარსებო საჭიროებათა უგულებელყოფის ცალკე ფაქტები. არას გზით არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ სკოლას ყველგან როდი უზრუნველჰყოფენ სათბობით, ყველგან როდი აწყობენ საუზმეს მოსწავლეებისათვის, ზოგან არღვევენ მასწავლებელთა კვების მთავრობის მიერ დადგენილ ნორმებს, არ ათავისუფლებენ სასკოლო სადგომებს, სკოლებს არ უბრუნებენ იმ მასწავლებლებს, რომლებსაც არა სპეციალობის მიხედვით იყენებენ.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანაა ყველა საჭირო პირობა შექმნან სკოლის ნორმალური მუშაობისათვის, ის ადამიანები კი, რომლებიც ფუშავენ სახალხო განათლების საქმეს, სასტიკ პასუხისგებაში მისცენ. ბავშვებისათვის, მოსწავლეებისათვის, ჩვენი მოზარდი თაობისათვის ზრუნვა ყოველი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელის წმიდა მოვალეობაა.

განსაკუთრებით სერიოზულია კომკავშირის პასუხისმგებლობა. კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს, უფრო ღრმად ჩასწვდნენ მრავალმხრივსა და რთულ სასკოლო ცხოვრებას და ახსოვდეთ, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებანი მოითხოვენ ბეჯითს, მოფიქრებულ და ყოველდღიურ მუშაობას მოსწავლეებთან. და, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ ყოველი კომკავშირელი მოსწავლე ნიმუში იყოს ყოფაქცევასა და სწავლაში. მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცების საქმეში კომკავშირელებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ და კიდეც უნდა გააკეთონ.

ხოლო პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით გამხნევებული ჩვენი მასწავლებლები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან ამას წინათ მიღებული მაღალი ჯილდოთი, კიდევ უფრო გააძლიერებენ თავიანთ აქტივობას, ინიციატივას, რათა ღირსეულად შეასრულონ მათს წინაშე დასმული ამოცანები.

„პრავდის" 3 თებერვლის მოწინავე.

მაღალი სიხშირის დენით წრთობის გამოყენების შედეგები

კიროვის ქარხანაში სულ უფრო და უფრო ფართოდ იყენებენ მაღალი სიხშირის დენით ზედაპირულ წრთობას.

ტანკის 26 სხვადასხვა დეტალის მაღალი სიხშირის დენით დამუშავებამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. წლის განმავლობაში დაზოგილია 5.000 ტონა მაღალლეგირებული ფოლადი, ათასობით ტონა დეფიციტური მასალა, რაც ცემენტაციას ხმარდება, 1.000 ტონამდე მაზუთი, რამდენიმე მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. განთავისუფლებულია ათობით მეშა. ბევრად შემცირდა დეტალების ტრანსპორტირება. (საკდესი).

საერთაშორისო მიმოხილვა

გასულ კვირაში მთელი მსოფლიოს ყურადღებას კვლავ იპყრობდა გიგანტური შეტევა წითელი არმიისა, რომელიც განაგრძობს თავისი ოპერაციების განვითარებას ისტორიაში ჯერ არნახული სისწრაფით და ძალით. შეტევის პირველსავე ორ კვირაში საბჭოთა ჯარებმა მოსპეს და ტყვედ წამოიყვანეს თითქმის 400 ათასი ჰიტლერელი, აგრეთვე ხელთ იგდეს დიდი დავლა. სამი კვირის ბრძოლების შედეგად ფრონტზე ვითარება ძირიანად შეიცვალა. წითელმა არმიამ მოსპეტა აღმოსავლეთ პრუსია დანარჩენ გერმანიას...

მოვლენათა განვითარებამ დრამატიული ხასიათი მიიღო... გერმანელი ხალხი, რომელიც ევროპაში თითქმის ყველა მისმა მოკავშირემ მიატოვა, მარტოდმარტო დგას პოსტზე"...

* * *

რაც უფრო ახლოვდება ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურება, მით უფრო მეტ ყურადღებას უთმობს დემოკრატიული ქვეყნების პრესა და საზოგადოებრიობა ომის დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის, მათი დასჯის და ყველა ჯურის ჰიტლერული აგენტურის...

[illegible]

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

გივი კამლაძე

წვიმს. შემოდგომის მძაფრი ქარი დროდადრო ზუზუნით გადაიქროლებს მთებზე. ჯერ არ გათენებულა. შავი ღრუბლებით დაფარულ ცას მოწრაპისრე ტყვიები სერავენ. მოისმის ქვემეხთა მორეული გრიალი. დანიშნულ დროზე ჩვენმა საპაერო მხედრებმა მიმართულება აიღეს მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიისაკენ, გადასჭრა ფრონტის ხაზი და...

დამთავრების შემდეგ შევიდა საფრენოსნო სკოლაში, რომელიც 1942 წელს დაამთავრა. იმავე წლის შემოდგომაზე გ. კამლაძემ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ჩრდილოეთ კავკასიაში, თავისი თვითმფრინავით იგი გაბედულად ზვერავდა მტრის კომუნიკაციებს და განლაგებას, კრასნოდარში, მაიკოპში...

[illegible]

გიორგი ამაშუკელი



[illegible]

ანა ბაქრაძე

[illegible]

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების პლენუმები

ბორჩალოს რაიკომში

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჩალოს რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობა; 2. აგიტაცია პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებულ მუშაობაზე.

წელს 1 მარტისათვის წყალსადენი... გასაწმენდად ჩატარებულ უნდა იქნას 70... კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, ... თვისაც ყოველდღე 20 დღის განმავლობაში საჭიროა 1,000 კაცის მუშაობა.

[illegible]

ცხაკაია

[illegible]

თიანეთი

[illegible]

ბათუმის რაიონის პარტიული აქტივის კრება

[illegible]

დანციგის გუბეიდან ვისლის გასწვრივ

[illegible]

1. ვარშავა. საბჭოთა და პოლონეთის ჯარების კოლონა მიემართება მარშალკოვსკის ქუჩაზე. 2. უკრაინის 1-ლი ფრონტი. საბჭოთა კავშირის გმირები (მარცხნიდან მარჯვნივ): გვარდიის სერჟანტი გრიგოლ ჩორნი, გვარდიის სერჟანტი ქაშაგან ჯაბანბარაევი, გვარდიის უფროსი სერჟანტი გრიგოლ ცარაშა და გვარდიის უმცროსი სერჟანტი სიმონ ვოლდიკოვი. 3. ქარხანაში უბნის უფროსი ნ. ფ. შურპატენკოს ცვლა ყოველდღიურ დავალებას 130–150 პროცენტით ასრულებს. სურათზე: კონტროლიორი კომკავშირელი ლ. ა. რიჩკოვა და ცვლის უფროსი ნ. ფ. შურპატენკო იღებენ ყუმბარებს.

ფოტო მ. ბუშკინისა, ი. ეგოროვისა და ა. ფომენკოსი, (საბჭოთა ფოტოქრონიკა).

გადაცემა მედლისა „კავკასიის დაცვისათვის"

2 თებერვალს თბილისის საორთქლმავლო დეპოს წარჩინებულ ადამიანებს გადაეცათ მედლები „კავკასიის დაცვისათვის".

საზეიმოდ მორთულ კლუბის დარბაზში შეიკრიბნენ საუკეთესო სტახანოველები, მოწინავე რკინიგზელები, ისინი, რომლებიც ზურგში ფრონტული მუშაობით ეხმარებიან ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას მტერზე საბოლოო გამარჯვების მოპოვებაში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. ლუარსაბოვმა.

— სამამულო ომის პერიოდში,—ამბობს ამხ. ლუარსაბოვი, — საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი პირნათლად ასრულებს პარტიისა და ხელისუფლების ყველა დავალებას. დეპოს მემანქანეებს სწრაფად, გრაფიკის მიხედვით მიჰყავთ მატარებლები, მუშაობენ უმარცხოდ და უავარიოდ. ორთქლმავლების შეკეთებაზე მომუშავენი გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლებით აღინიშნა დეპოს კოლექტივის მუშაობა 1942 წელს, მძიმე განსაცდელის დღეებში, როცა ვერაგი მტერი ამიერკავკასიას ემუქრებოდა. დეპოს კოლექტივი ასრულებდა ფრონტის დავალებას და დაუღალავი მუშაობით დაეხმარა ჩვენს შემტევ ჯარებს კავკასიის მისადგომებთან გერმანელების დამარცხებაში. ამით დაიმსახურეს დეპოელებმა მთავრობის ჯილდო, რომელიც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ. დეპოს კოლექტივმა კარგად დაიწყო 1945 წელი. მან იანვრის გეგმა შეასრულა. მაგრამ საჭიროა კიდევ უკეთ ვიმუშაოთ, რათა ამით ხელი შევუწყოთ ვერაგი მტრის განადგურებას მისსავე ბუნაგში.

მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანმა ამხ. მ. რაქვიაშვილმა წაიკითხა დაჯილდოებულთა სია. მედლით „კავკასიის დაცვისათვის" დაჯილდოებულია 101 კაცი.

ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. თევზაძემ გადასცა მათ მედლები. მედალი პირველმა მიიღო სოციალისტური შრომის გმირმა ა. წიკლაურმა. მას მკერდს უმშვენებენ ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენები და რკინიგზელის საპატიო ნიშნები, რომლებიც მან დაიმსახურა სტახანოვური მუშაობით. შემდეგ მედალი გადასცეს სოციალისტური შრომის გმირს ამხ. შ. კოხრეიძეს, რომელიც წინათ დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1943 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება ლენინის ორდენისა და მედლის „ნამგალი და ურო" გადაცემით.

დაჯილდოებულთა შორის არიან საორთქლმავლო დეპოს სტახანოველები და მოწინავე ადამიანები: დეპოს უფროსის მოადგილე ორდენოსანი თ. გაგნიძე, სპეციალური საამქროს სტახანოველი ზეინკალი ბ. ჭუმბურიძე, ნ. კიკნაძე, ს. კოშურიძე, მემანქანეები ა. სიხარულიძე, ი. გაგიევი, ი. მაისურაძე, საბარგო გუნდიდან — მედალოსანი ჩიგოგიძე, მ. პაპაშვილი, მემანქანე ა. ზოკაიძე, ძველი ოსტატი ი. ბახტაძე, მ. ქსოვრელი, ნ. გვენეტაძე, შ. ხიზანიშვილი, ბ. ბარნაბიშვილი, ა. მაზმიშვილი და სხვები, რომლებიც კავკასიისათვის ბრძოლის დღეებში გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ, ჯარები გადაჰყავდათ და საჭურველი გადაჰქონდათ, ორთქლმავლიდან 30-70 საათს არ ჩამოდიოდნენ, რამდენიმე დღეობით შეუსვენებლივ მუშაობდნენ და ეხმარებოდნენ ფრონტს.

დაჯილდოებულთაგან სიტყვებით გამოვიდნენ ი. ბახტაძე, კრივიცკი, ივანენკო, თ. გაგნიძე. მათ მადლობა გადაუხადეს მთავრობას ჯილდოსათვის, იკისრეს ახალი ვალდებულებანი და აღუთქვეს სამშობლოს, რომ ფრონტულად იმუშავებენ, არ დაიშურებენ თავიანთ ძალას, რათა ყველაფერი გააკეთონ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, დაეხმარონ წითელ არმიას მტრის საბოლოო განადგურებაში.

* * *

ხაშური („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). ამ დღეებში ხაშურის რაიონის მოწინავე მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა და პარტიულ მუშაკებს გადაეცათ მედალი „კავკასიის დაცვისათვის".

საზეიმო კრებაზე რკინიგზის კლუბში ხუთას კაცზე მეტი შეიკრიბა. კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანმა ამხ. გრ. ფოფხაძემ.

მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ამხ. გელაშვილმა პირველი მედალი გადასცა საელმავლო დეპოს ოსტატ ამხ. ლ. ქირიას. თავის სიტყვაში ამხ. ქირიამ განაცხადა:—ომის დაწყების დღიდან მოხარატების საამქრო, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, საწარმოო დავალებებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს. გასული წლის დეკემბერში დეპოში პირველობა მოვიპოვეთ. პირობას ვიძლევი განვამტკიცო მოპოვებული წარმატებანი და კიდევ უფრო მზარდი დახმარება გავუწიო წითელ არმიას გერმანელ დამპყრობთა საბოლოო განადგურებაში.

მედლები გადაეცათ დიდი ლუდის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" და „სოციალისტური მიწათმოქმედების წარჩინებულის" ნიშნით დაჯილდოებულს 60 წლის ისაკ ზაზიკაშვილს, ზემო-ოსიაურელ კოლმეურნეს ისაკ ტურიაშვილს, ენერგომომარაგების უბნის უფროსს ინჟინერ ნიკოლოზ წერეთელაშვილს, მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს კოსტა გოჩაშვილს, ელმავლის წარჩინებულ მემანქანეს მიხეილ შიუკაშვილს და სხვ., სულ 367 კაცს.

დ. ფარემუზოვი

თბილისი. მაუდ-კამვოლის ფაბრიკა. სურათზე: ფაბრიკის საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. (მარცხნიდან მარჯვნივ) ა. ლიუსენკოვა, ლ. ასათიანი (ბრიგადირი), ა. ოსტრიკოვა.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

უკრაინელ მაღაროელთა დელეგაცია ჭიათურაში

ჭიათურა („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ნიკოპოლის მაღაროელთა დელეგაციის ჩამოსვლა ჭიათურაში ხალხთა სტალინური მეგობრობის შესანიშნავ დემონსტრაციად გადაიქცა. ჭიათურელმა მაღაროელებმა სტუმრებს ნამდვილი ძმური, მეგობრული შეხვედრა მოუწყეს.

ჩამოსვლის პირველ დღეს ნიკოპოლელებმა დაათვალიერეს ორჯონიკიძის სახელობის მაღარო, გაეცნენ ცალკე უბნების მუშაობას, ესაუბრნენ მაღაროს ხელმძღვანელებსა და სტახანოველებს. იმავე საღამოს სტუმრები სპექტაკლს დაესწრნენ ჭიათურის სახელმწიფო თეატრში.

მეორე დღეს დელეგატები ესტუმრნენ სტალინის სახელობის მაღაროს. აქ ისინი ესაუბრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მეოთხე უბნის გამგეს ამხ. ტრ. ფოფხაძეს, აგრეთვე სტახანოველებს ამხ. ზ. ფხალაძეს, მ. აბრამიშვილს და სხვ.

1 თებერვალს დელეგატების ერთი ჯგუფი ესტუმრა ლენინის სახელობის მაღაროს, ხოლო სტახანოველები ამხ. ს. ფროლოვი და ნ. ალეინიკი კვლავ სტალინის სახელობის მაღაროში წავიდნენ.

* * *

5 თებერვალს სრულდება გერმანელ დამპყრობთაგან ნიკოპოლის განთავისუფლების წლისთავი. ამ დღის აღსანიშნავად უკრაინელმა სტუმრებმა გადაწყვიტეს მაღაროში მუშაობა. 1 თებერვალს დილით მაღაროში შედგა სახელდახელო მიტინგი. ამხ. ფროლოვსა და ალეინიკთან ერთად სტახანოვურ ვახტზე დადგა მეორე უბნის პირველი ცვლა. ამ დღეს ამხ. ფროლოვმა და ალეინიკმა დღიური დავალება 233 პროცენტით, ხოლო მთელმა ცვლამ 133 პროცენტით შეასრულეს.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტახანოველთა შეკრება

ჭიათურა („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). 1 თებერვალს შედგა მარგანეცის მრეწველობის სტახანოველთა შეკრება, რომელსაც ესწრებოდა ნიკოპოლის მაღაროელთა დელეგაცია. შეკრებამ საპატიო პრეზიდიუმში აღფრთოვანებით ერთსულოვნად აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები კ. ნ. ჩარკვიანი და ვ. მ. ბაქრაძე.

ჭიათურის მარგანტრესტის 1944 წლის მუშაობის შედეგებსა და 1945 წლის ამოცანებზე შეკრებამ მოისმინა ტრესტის მმართველის ამხ. გ. ანდღულაძის მოხსენება. მან აღნიშნა, რომ ჭიათურის მარგანტრესტმა 1944 წელს არადამაკმაყოფილებლად იმუშავა და დაწვრილებით შეჩერდა იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს ჩამორჩენა. 1945 წელი კიდევ უფრო გადიდებულ და სერიოზულ ამოცანებს აყენებს ჭიათურელ მაღაროელთა წინაშე. მეტი თავდადებით, მეტი შეუპოვრობით უნდა ვიმუშაოთ, რათა ფრონტსა და სამშობლოს მივცეთ იმდენი მარგანეცი, რამდენიც საჭიროა.

ნიკოპოლის მაღაროელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა უკრაინის კ. პ. (ბ) მარგანეცის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. მუზალოვმა, რომელსაც შეკრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ, ილაპარაკა ქართველი და უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე. მას არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე ტაშით, როცა იგი ლაპარაკობდა წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებებზე, რომლებიც მოპოვებულია დიდი სტალინის წინამძღოლობით.

ამხ. მუზალოვმა შეკრებას დაწვრილებით მოუთხრო იმის შესახებ, თუ რა ზიანი მიაყენეს გერმანელმა დამპყრობლებმა უკრაინელ ხალხს და რა მუშაობა გასწიეს ნიკოპოლელმა მაღაროელებმა დანგრეული მაღაროების აღსადგენად. ნიკოპოლელები თავდადებით მუშაობდნენ და ორმაგი გადაჭარბებით შეასრულეს 1944 წლის პროგრამა.

ამხ. მუზალოვი იხსენებს ჭიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელთა ტრადიციულ მეგობრობას და წინადადება შეაქვს განახლდეს შეჯიბრება მარგანეცის ამ ორ მძლავრ აუზს შორის.

სიტყვით გამოდის სტალინის სახელობის მაღაროს დირექტორი ამხ. მ. ქამუშაძე. მან მაღაროს კოლექტივის სახელით ვალდებულება აიღო გადაჭარბებით შეასრულოს 1945 წლის დავალება.

ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველი ამწენდი ამხ. ა. ძინძიბაძე:

— მე აქ სანგრევიდან მოვედი,—სთქვა მან, —დღეს მე და ჩვენმა უკრაინელმა თანამოძმემ ამხ. ნ. ალეინიკმა ერთად ვიმუშავეთ. ჩვენ სტახანოვურ ვახტზე დავდექით ნიკოპოლის განთავისუფლების წლისთავის აღსანიშნავად. კარგ წარმატებასაც მივაღწიეთ. თვითეულმა დავალება 233 პროცენტით შევასრულეთ. ვკისრულობ 1945 წლის დავალება ექვს თვეში შევასრულო და შეჯიბრებაში ვიწვევ ამხ. ნ. ალეინიკს.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს მეორე უბნის გამგემ, ლენინის ორდენოსანმა პ. ბოყუველმა იკისრა წლიური გეგმის 105 პროცენტით შესრულება.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მთავარმა ინჟინერმა ნ. ბუტულაშვილმა მაღაროს კოლექტივის სახელით პირობა დასდო 25 დეკემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა და შეჯიბრებაში გამოიწვია ნიკოპოლის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი. შეკრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. პ. მიშჩენკო, ნ. ალეინიკი, ტ. შაპოვალოვი, რომლებმაც ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს.

შეკრებაზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. სხილაძემ.

შეკრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება განახლდეს შეჯიბრება ნიკოპოლელ მაღაროელებთან. ჭიათურელთა ვალდებულებანი შეკრებას გაცნო მარგანტრესტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. შ. შეყლაშვილმა.

ჭიათურელები კისრულობენ: სასაქონლო პროდუქციის დამზადების 1945 წლის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, 3 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, 1 პროცენტით გააუმჯობესონ ხარისხი, კაპიტალური მშენებლობის გეგმა შეასრულონ 105 პროცენტით, სამთო მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა—102 პროცენტით, კვალიფიციურ მუშათა მომზადებისა—105 პროცენტით და სხვ.

პ. ჭიოკაძე

ირაკლი აბაშიძე

როცა ბრანდენბურგს უახლოვდები

პოლკოვნიკ კოტე სოხაძეს

გახსოვს, ნალჩიკთან ომი გოროზი?
ცეცხლი — ველების გადამბუგველი,
გახსოვს, გადამწვარ სოფლის ბოლოზე
ექვსი მოკლული ბრანდენბურგელი?

არც არაფერი ტანზე ეხურათ,
არც-ვის გაეწყო მათთვის გულხელი,
მაინც დიდგულად, მაინც მკვეხრულად
მხრებზე ეწერათ: „ბრანდენბურგელი".

ცეცხლში, მტრობაში გამოყანგულნი
მაინც გვიცქერდნენ სვავის თვალებით,
მკლავებზე ლურსმნით ამოშანთული
ლურჯათ ეხატათ თავისქალები.

აი, ვინ დასწვა დონის ველები
და მანქანებით მთებში გაჯიქდა,
აი, ვინ მოსწვდა კავკავს ხელებით,
ვინ დაგვადინა სისხლი ნალჩიკთან.

ჩვენ იქ ისინი ახე გავიცნეთ
ნაღმთა გრიალში, ტანკთა სრიალში;
მათ შუბითიძე და ბუხაიძე
მოჰკლეს ჩრდილოეთ კავკასიაში.

მრავალ ქალაქის მოსპეს ძირ-ფესვი,
დასწვეს, დასტოვეს მხოლოდ ლოდები...
ეს გაიხსენე ეხლა, ძვირფასო,
როცა ბრანდენბურგს უახლოვდები!

კალე ბობოხიძე

ფრონტელი შვილის წერილი მამისადმი

აჰა, ასრულდა ოცნება ჩემი,
ვიბრძვი და სისხლით ბრძოლის ველს ვნამავ;
დაიწყო ჩვენი შეტევის წელი,
ხარობდე, ჩემო ძვირფასო მამავ!

გამომყოლია მე შენი ძალა,
გამომყოლია მე შენი გული,
შურისძიებას ვზრდი ქარიშხალად
და ჩემად მიჩანს სამშობლოს წყლული!

ძველ კომკავშირელს, სტალინელ მებრძოლს
ვერ შემაშინებს ველურთა ჯარი,
ჩვენმა ნაწილმა დღეს უკვე შესძლო
მოსისხლე მტრებზე გვეყარა ჯავრი!

და თუნდაც მოვკვდე, მე არა ვნანობ,
არ დამივიწყებს სამშობლო ვიცი,
მარადის წმინდა და სათაყვანო
შობს უკვდავებას მეომრის ფიცი!

მწამს, ვერ დაჰფარავს ქვეყანას ბნელი.
ლენინის საქმე იცოცხლებს მარად,
სტალინურ დროშით მივაღწევთ ბერლინს,
მზე გაგვინათებს მთაში და ბარად!

მეც აქ მიგულეთ მგზნებარე მგზავრი,
თუნდაც ბრძოლაში სიკვდილი მერგოს;
მტარვალებს მარცხი ვარგუნე მძლავრი,
შენ ხარ მოწამე, მჩქეფარე თერგო!

თქვენ ხართ მოწამე—რუსეთის მიწის
თვალუწვდენელო ველო და გზებო,
თქვენ ხართ მოწამე უწმინდეს ფიცის,
კავკასიონის სპეტაკო მთებო!

აჰა, ასრულდა ოცნება ჩემი,
ლაჟვარდოვანი ცა ველებს ნამავს,
გულს გვიხალისებს შეტევის წელი
ჩემო ძვირფასო, მშობელო მამავ!

მასწავლებლის მოსაზრებანი

ნებისყოფის აღზრდის შესახებ

მოთხოვნათა გადიდებამ, გამოსაშვები გამოცდების და სიმწიფის ატესტატის შემოღებამ ერთგვარი დაბნეულობა, თავიანთი ძალებისადმი, თავიანთი ცოდნისადმი ურწმუნოება გამოიწვია მოსწავლეთა ერთ ნაწილში. ხშირად მოსწავლემ საგანი იცის, მაგრამ მას აკლია სიმტკიცე, გაბედულება.

ჩვენი მოსწავლეების ნაწილი რომ სიძნელეებმა შეაშინა, ამაში თავი იჩინა არა მარტო სკოლის მიერ მიცემული ცოდნის არასაკმაო სიმტკიცემ. მე ვფიქრობ, ამის მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენი მოსწავლეები არ იყვნენ კარგად მომზადებულნი ასეთი გამოცდისათვის, არ იყვნენ შეჩვეულნი სიძნელეთა გადალახვას, ბევრს აკლია მტკიცე ნებისყოფა.

დღემდე ჩვენი მოსწავლეებისათვის შედარებით ადვილი იყო სწავლა. ჩვენ, პედაგოგები, ძალიან ხშირად ვმეურვეობდით მათ. როგორც წესი, მოსწავლეებს თითქმის არ უხდებოდათ გონების, ნებისყოფის დაძაბვა ცოდნის შესაძენად. ცოდნა მათ მზამზარეულად მიერთმეოდათ. ხშირად მოსწავლეთა ამოცანას მხოლოდ იმის დამახსოვრება წარმოადგენს, რასაც მასწავლებელი ამბობს, რაც სახელმძღვანელოში სწერია. ამასთან ბევრი ჩვენი ბავშვისათვის მეცნიერება იმ ციხეს არ წარმოადგენს, რომელიც უნდა აღებულ იქნას, და აღებულ იქნას რადაც უნდა დაჯდეს, როგორც ამბობს ამხანაგი სტალინი.

შემთხვევითი როდია, რომ როცა მოსწავლეებს ვკითხე როგორ გესმით ძველი ხალხური ანდაზა: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბება" მეთქი,—მათ პასუხი ვერ მომცეს. მათთვის გაუგებარია ანდაზის აზრი.

მე სრულიადაც არა ვარ მომხრე მკაცრი, მძიმე სკოლისა, რომელსაც საფუძვლად უდევს სწავლების სიმწარე. სრულიადაც არა. ხსენებულმა ანდაზამ ჩვენ უნდა მიგვაზიდოს იმ ნაყოფის სიტკბოთი, რომლის მიღწევაც მხოლოდ შეუპოვარი შრომით შეიძლება. რა სიხარულს განიცდის მოსწავლე, როცა დამოუკიდებლად გამოიყვანს ამოცანას, რომელიც დიდხანს ვერ ამოხსნა! იგი ბედნიერია, ამაყობს, მან შესძლო! აი დაძლეული სიძნელის ასეთ სასიხარულო გრძნობას უნდა განიცდიდნენ ჩვენი მოსწავლეები რაც შეიძლება ხშირად. მაშინ ცოდნაც უფრო მკვიდრი იქნება და ხასიათიც უფრო მტკიცე.

როცა პედაგოგი ან მშობელი ეხმარება მოსწავლეს რომელიმე ძნელი ამოცანის გამოყვანაში, მარტო შრომის სიხარულს როდი უკარგავს მას. ჩვენ ამით თითქოს ვუნერგავთ მას საკუთარი ძალებისადმი ურწმუნობას, ვადუნებთ მის ხასიათს. კეთილ სურვილს, რომ შევუმსუბუქოთ მოსწავლეს შრომა, ზოგჯერ მხოლოდ ზიანი მოაქვს. მოსწავლის წილად უნდა რჩებოდეს სწორედ იმდენი შრომა, რამდენის დაძლევაც შეუძლია მის ახალგაზრდა ძალებს. მოსწავლის შრომა მისაწვდომი გავხადოთ—ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ შრომას ჩამოვაშოროთ სიძნელეები, არამედ ეს იმას ნიშნავს, რომ გადავაქციოთ ეს სიძნელეები მოსწავლის მიერ დასაძლევ რამედ, თუ იგი გარკვეულ ძალღონეს დახარჯავს მასწავლებლის დახმარებით.

სწავლა შრომაა. აი რა უნდა შეითვისონ კარგად ჩვენმა მოსწავლეებმა. პედაგოგების მოვალეობაა არა მარტო შთააგონონ, არამედ აგრძნობინონ აგრეთვე მათ, რომ: „მეცნიერებაში არ არის ფართო შარაგზა... და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მეცნიერების ბრწყინვალე მწვერვალებს, ვინც დაღლას არ შეუშინდება და მიდის ამ მეცნიერების კლდოვანი ბილიკებით" (კარლ მარქსი).

„არ გამოვიდა!"—რა ხშირად იმეორებენ ამ სიტყვებს ჩვენი მოსწავლეები. არ გამოვიდა ამოცანა, არ გამოვიდა ნახაზი, თხზულება. და ბევრი მასწავლებელი ურიგდება ამას. მოსწავლემ წრეხაზის ნაცვლად დახატა მხოლოდ კონტური და შეწუხდა, როცა თავისი ნაწარმოები მასწავლებლის ნახაზს შეადარა.

— არაფერია,—ეუბნება პედაგოგი,—შენ ჯერ უკეთესს ვერც დახატავ.

ამის თქმა არ შეიძლება. ასეთი სიტყვების შემდეგ მოსწავლე იფიქრებს, რომ იგი მართლაც ვერ დახატავს წრეხაზს. ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლის ნებისყოფა აღზარდოს, ასეთი პედაგოგი მხოლოდ ადუნებს მას. შემოქმედება ხატვაში ტალანტის საქმეა, ელემენტარული ნახატის, ნახაზის გაკეთება შრომის საქმეა, ეს ყველა მოსწავლეს შეუძლია.

ფიზიკის გაკვეთილებზე ჩემი მოსწავლეებისაგან მოვითხოვ, რომ ყველა მათგანმა კარგად დახაზოს სქემები. თუ მოსწავლემ დაფაზე არაზუსტად და უშნოდ დახატა, მე ნებას არ ვაძლევ, რომ სქემა წაშალოს, მაშინვე ვეუბნები დახატოს ხელახლა, ხატოს მანამდე, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევს. ეს პედანტიზმი, მასწავლებლის ახირება როდია. ვადარებ რა ერთისა და იმავე მოსწავლის მიერ გაკეთებულ პირველსა და საბოლოო ნახატს, მე ვუჩვენებ მასაც და მთელ კლასსაც, რომ მეცადინეობით შეიძლება იმის გაკეთება, რაც საჭირო იყო.

ასეა ყველაფერში. ასეა თვით ნებისყოფის აღზრდაშიც. ნებისყოფა თანდაყოლილი რამ კი არ არის, ნებისყოფის თვისებები შეიძლება კაცმა გამოიმუშაოს. ჩვენი მოსწავლეების ლექსიკონში არ უნდა იყოს სიტყვები „არ შემიძლია", „არ გამოვიდა". მსურს და მივაღწევ—აი საბჭოთა მოსწავლის დევიზი. ამასთან ყველაზე უკეთ ნებისყოფის აღზრდა იმით შეიძლება, რაც „არ გამოდის". მე ყოველთვის ვასრულებინებ მოსწავლეს აუცილებლად და პირველ რიგშიც კი სწორედ იმას, რაც არ გამოდის.

ყველაზე სახელმოხვეჭილი გმირები გმირებად ერთბაშად როდი გამხდარან. ცნობილია, რომ გულადზე გულადსაც კი პირველ ბრძოლაში შიში განიცდის, და მისი მამაცობა არის თავისი შიშის დაძლევის უნარი, თავის დაჭერის უნარი, რაც ჩვეულებად იქცევა. თავის დაჭერის უნარი პირველი ნიშანია ნებისყოფიანი კაცისა. უჩვეულებოდ შეუძლებელია,—თუ ყოველთვის ნებისყოფის დაძაბვა დაგვჭირდა მთელი ცხოვრება საკუთარ თავთან ბრძოლა იქნება. ხოლო ასეთი ჩვეულება თავის დაჭერისა, საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებისა ადამიანმა სკოლაშივე უნდა შეიძინოს. შვიდი წლის ბავშვები პირველ კლასშივე ეჩვევიან გაკვეთილზე ჯდომას, მაშინ როცა მათ სურთ ირბინონ, ეჩვევიან იმას, რომ ილაპარაკონ არა ერთად, არამედ ასწიონ ხელი, როცა რისამე თქმა სურთ. ამრიგად ბავშვები იძენენ დისციპლინიანობის ჩვეულებას.

რომ ისინი გახდნენ არა მარტო დისციპლინიანი, არამედ გულადი, მტკიცე ხასიათის ადამიანები, ამისათვის საჭიროა უდიდესი აღმზრდელობითი მუშაობა. საჭიროა სკოლაშივე გამოვუმუშაოთ მათ იმის ჩვეულება, რომ გადალახონ სიძნელეები, თავიანთი უნდომობა და უსურველობა. ასეთი ჩვეულების გამომუშავება მარტო სიტყვიერი აღზრდით არ შეიძლება, თუმცა სიტყვიერ აღზრდასაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ამისათვის განსაკუთრებით მადლიანი მასალა გვაქვს ისტორიისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე.

ფიზიკის გაკვეთილებზეც კი. მაგალითად, „ელექტრობის" შესწავლისას, მე მივახვედრებ ხოლმე მოსწავლეებს, რომ კეთილყოფა, რასაც ჩვენ ელექტროენერგია გვაძლევს, არის გენიოსთა, მეცნიერთა და უბრალო მშრომელთა მთელი პლეადის უანგარო დაძაბული, ხშირად ფრიად მწარე შრომის შედეგი („ტკბილი ნაყოფი"). მაგალითად, გენიალურმა ედისონმა ორმოცი ათასი ფურცელი ქაღალდი მოანდომა თავის ელექტრონათურაზე ცდების შედეგთა ჩაწერას. მან ექვსი ათასი სხვადასხვა ნივთიერება გამოსცადა, რომ ეპოვნა ამ ნათურის ბეწვისათვის ნივთიერება. გენიალურმა მეცნიერმა ორმოცდაათი ათასი ცდა გააკეთა, რომ თუთიის აკუმულატორი შექმნა. აქედან გამომყავს დასკვნა, რომ თვალსაჩინო გამოგონებანი ნაყოფია არა მარტო გენიალური აზრისა, არამედ გულმოდგინე, შეუპოვარი შრომისა.

ნებისყოფის აღზრდისათვის ფრიად ფუძე მასალას ვპოულობთ სამამულო ომის გმირთა საგმირო საქმეებში. ჩვენი მოსწავლეები აღტაცებული არიან ამ გმირებით, მათი მამაცობით, ნებისყოფით. ბევრნი თვითონ ოცნებობენ გახდნენ გმირები, და მათ ჰგონიათ, რომ, როცა გარემოება ამას მოითხოვს, მათ თავისთავად გაუჩნდება მამაცობაც და მტკიცე გაბედულებაც. შესაძლოა ასეც იყოს. მაგრამ მათთვის შეუდარებლად უფრო ადვილი იქნება განსაკუთრებულ გარემოებაში, მათთვის გაცილებით უფრო ადვილი იქნება საერთოდ ცხოვრება, თუ წინასწარ ისწავლიან თავის დაჭერას, მთელი ნებისყოფის დაძაბვას დასახული მიზნის მისაღწევად, თუ ისინი გამოიმუშავებენ ბოლშევიკებისათვის ჩვეულ თვისებებს. და ჩვენი, პედაგოგების, ამოცანაა დავეხმაროთ მათ გააკეთონ ეს სასწავლო მუშაობის პროცესში.

მოსწავლეთა უმეტესობას სურს კარგად ისწავლოს, მაგრამ სურვილი შეძლებას როდი ნიშნავს. ჩვენი ვალია ვუჩვენოთ მათ გზა, კონტროლი გავუწიოთ, წავახალისოთ. ზოგიერთი მოსწავლე, ცუდ ნიშანს რომ მიიღებს, გადასწყვეტს ხოლმე რადაც უნდა დაჯდეს გამოასწოროს იგი. მაგრამ ამას გადადებს სახვალიოდ, შემდეგ გადადებს კვლავ და კიდევ. ძალიან ხშირად ჩვენს ბავშვებს არა ჰყოფნით სიბეჯითე და შეუპოვრობა, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანონ. არ კმარა სურვილი, უნდა შევაჩვიოთ უნარი დავძლიოთ საკუთარი სიზარმაცე და ყოველგვარი ცთუნება.

მე მყავდა ეგრეთწოდებული მძიმე მოსწავლე. იგი სასკოლო მეცადინეობაში არც ინტერესს ხედავდა, არც სიამოვნებას. მე ვიცოდი, რომ იგი ოცნებობდა გემთმშენებელი გამხდარიყო და შევძელი დამემტკიცებინა მისთვის, რომ იგი გემთმშენებელი ვერ გახდებოდა, თუ ახლა არ მოჰკიდებდა ხელს სწავლას. ისევე როგორც მრავალი სხვა, იგი ფიქრობდა, რომ მას ყველაფერი მომავალში აქვს და მოასწრებს, როცა გაიზრდება, მიიღოს საჭირო ცოდნაც და სპეციალობაც. ახლა კი მას შეუძლია აკეთოს, რაც სურს. მე ვეუბნები ჩემს მოსწავლეებს, მაშინ მოგიხდებათ ისწავლოთ სხვა რამე, რის გაგებაც შეუძლებელია, თუ სასკოლო წლებში მიღებული მტკიცე ცოდნა არ გექნებათ, რასაც ახლა ვერ შეიძენთ, შემდეგ იმის შეძენა ძნელი იქნებამეთქი.

ფრიად დიდმნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს დასახული ჰქონდეს რაიმე მიზანი, რისკენაც უნდა მიისწრაფოდეს. სწორედ კონკრეტული მიზნისათვის ბრძოლაში იწრთვნება ნებისყოფა.

ჩვეულებრივ ბავშვები ფიქრობენ, რომ მამაცობა და ნებისყოფა სწავლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში არ მჟღავნდება. ისინი აღტაცებაში მოჰყავს ცირკის ჟონგლიორს, რომელსაც ხანგრძლივი ვარჯიშობით მიუღწევია მოძრაობის არაჩვეულებრივი სიადვილისა და შეთანხმებულობისათვის, და ვერც კი ხედავენ, რომ მათ გვერდით მათი ამხანაგი, რომელიც, ვთქვათ, ოთხ-ხუთ თვეს ავადმყოფობდა, შეუპოვრობისა და გულმოდგინების მეოხებით მთელ კლასს დაეწია და წლიწადი „ფრიადზე" დაამთავრა. მათ მამაცობად არ მიაჩნიათ თავიანთი უსურველობის დაძლევის უნარი.

ზოგიერთ მათგანს ნებისყოფის გამოჩენად ჯიუტობა მიაჩნია: გავიტან ჩემსას. პედაგოგის ამოცანაა ცხადჰყოს, რომ შეუპოვრობა და ჯიუტობა სხვადასხვა რამ არის. ჯიუტობის გამოჩენის ცალკეულ შემთხვევებში მე არასოდეს არ ვცდილობ ჯიუტობაში ვაჯობო მოსწავლეს და არავითარ შემთხვევაში არ მომდის გული. ზოგჯერ ვითომ არ ვამჩნევ ამ ჯიუტობას ან და სასაცილოდაც ავიღებ ხოლმე, ზოგჯერ დავსჯი ჯიუტს.

შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვიერი აღზრდის სულ სხვადასხვა სახე: დარწმუნებაც, მაგალითებიც, საზოგადოებრივი აზრიც. მაგრამ ხასიათის ბოლშევიკური მხარეების და, კერძოდ, მტკიცე ნებისყოფის აღზრდაში, ჩემი აზრით, მთავარი როლი სწავლების თვით მეთოდს უნდა ეკუთვნოდეს. ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ სწავლისადმი ინტერესის აღსაძვრელად. ეს ჩვენი მიღწევაა, საბჭოთა სკოლის დიდი წარმატებაა. მაგრამ ისწრაფვის რა დააინტერესოს მოსწავლეები, კარგად აუხსნას, განუმარტოს, ზოგიერთი პედაგოგი არასაჭირო უკიდურესობამდე მიდის. აქედან ჩვენი მოსწავლეები ეჩვევიან აკეთონ მხოლოდ ის, რაც მათთვის საინტერესოა. ისინი არ ცდილობენ, რომ თვითონ იფიქრონ, თვითონ მიაგნონ, თვითონ მიაღწიონ ჭეშმარიტებას დამოუკიდებლად. აქედან გამომდინარეობს ის დაბნეულობა, რომელიც ზოგიერთ მათგანს ემჩნევა, რაზეც წინათ ვილაპარაკე.

სწავლა, რომელიც ყოველგვარ ინტერესს მოკლებულია, სწავლის ხალისს უხშობს ბავშვს. მხოლოდდამხოლოდ ინტერესზე დაფუძნებული სწავლა, რომელიც მეცადინეობას არ მოითხოვს, არ აჩვევს ბავშვებს გონებრივ შრომას, დამოუკიდებელ აზროვნებას, არ უნერგავს მათ უნარს ისწავლონ, დასძლიონ სიძნელეები.

გაკვეთილი აუცილებლად საინტერესო უნდა იყოს. მაგრამ ეს ინტერესი უნდა ავაგოთ არა ლამაზ რამეზე და ისეთ სასაცილო ამბებზე, რომლებიც საქმეს არ ეხება და რომლებსაც პედაგოგი თავის მოთხრობაში ჩაურთავს ხოლმე, არამედ საგნის თვით მასალაზე და, რაც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, ამ ინტერესს სწავლების თვით მეთოდი უნდა იწვევდეს.

სწავლისადმი ინტერესი უფრო მეტი იქნება თუ მოსწავლეთაგან მეტ დამოუკიდებლობას და აქტივობას მოვითხოვთ, თუ პასიური დამახსოვრებისაგან ისინი ნამდვილ გონებრივ შრომაზე გადავლენ. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება თვით გაკვეთილს. ამჟამად, სამწუხაროდ, ხშირად მოსწავლეები ჩვენს გაკვეთილებზე თითქმის არაფერს აკეთებენ. როცა მასწავლებელი ახალს ხსნის მას დიდი ყურადღებით არ უსმენენ: შეიძლება მერმე წავიკითხოთ სახელმძღვანელოში. როცა შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელი დაფასთან ეკითხება, აქტიურად ფიქრობს, მუშაობს, როგორც წესი, მხოლოდ ის, ვინც უპასუხებს. დანარჩენები თავს თავისუფლად მიაჩნიათ. ხანდახან მათ გამოჰყავთ იგივე მაგალითები, რაც დაფაზე კეთდება, მაგრამ სულ დაფისაკენ იყურებიან, ხშირად პირდაპირ გადაიწერენ ხოლმე. მე ვფიქრობ, გაცილებით უფრო სწორი იქნება, თუ მაგალითებს ან სავარჯიშოს მთელ კლასს მივცემთ დამოუკიდებლად გადასაწყვეტად. მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის მხოლოდ ასეთი მეთოდით გამოუმუშავდებათ მეცადინეობის, შრომის ჩვევა, ჩვეულება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევას საშინაო დავალებათა შესრულებისას. მასწავლებლის ვალია ისეთი გახადოს ეს დავალებანი, რომ იმათ დააინტერესონ მოსწავლე, მოითხოვონ შემოქმედება მოსწავლისაგან და არ გადაიქცნენ სახელმძღვანელოში დაწერილის მექანიკურ დამახსოვრებად. ნათქვამი სრულიადაც არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მოსწავლეებმა არ უნდა იცოდნენ და არ უნდა დაისწავლონ მასალა.

საბოლოო ანგარიშით მთელი აღმზრდელობითი მუშაობის წარმატება დამოკიდებულია პედაგოგზე და არა მარტო იმაზე თუ როგორ ასწავლის, აღზრდის იგი, არამედ იმაზეც, თუ როგორია იგი თვითონ. ბუნებრივია, პედაგოგმა რომ თავის მოსწავლეებს მტკიცე ნებისყოფა განუვითაროს, მას თვითონ უნდა ჰქონდეს ასეთი ნებისყოფა. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როგორ ზიანდება მუშაობა, როცა პედაგოგი უნებისყოფო, მეტისმეტად რბილია. შემთხვევითი არ არის, რომ ზოგიერთ მასწავლებელს გაკვეთილებზე წესრიგი აქვს, ზოგიერთი მასწავლებლის გაკვეთილზე კი იგივე მოსწავლეები ძალიან ცუდად იქცევიან. მაგრამ თავისი ნებისყოფა პედაგოგმა სრულიადაც არ უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჩაუხშოს ნებისყოფა. ჩვენი ამოცანაა ვიფიქროთ ჩვენს მოსწავლეებში შინაგანი ადამიანის განვითარებისათვის და არა დათრგუნვისათვის.

მთელი ჩვენი უნარი, მთელი ჩვენი ნებისყოფა იმას უნდა მოვანდომოთ, რომ ჩვენი მოსწავლეებისაგან გამოვიყვანოთ არა მარტო დიდათ განათლებული, არამედ შინაგანად მტკიცე, მაღალიდეური, მტკიცე ნებისყოფისა და ხასიათის ადამიანები, რომელთაც ექნებათ გამარჯვების უნარი, რომელნიც, თუ საჭირო გახდა, მზად იქნებიან თავიანთი სიცოცხლე შესწირონ საბჭოთა სამშობლოს.

ს. პოკროვსკი.

ქალაქ მოსკოვის 103-ე სკოლის მასწავლებელი

„იზვესტია".

შ. რადიანი—ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ამას წინათ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგემ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელმა ამხ. შალვა დიმიტრის-ძე რადიანმა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ვასილ ბარნოვი და ისტორიული რომანის პრობლემა". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული იყვნენ: აკადემიკოსი კ. კეკელიძე, პროფესორი ლ. მელიქსეთ-ბეგი და პროფესორი ა. ბარამიძე. პაექრობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მწერლებმა: ს. ჩიქოვანმა, კ. გამსახურდიამ და დ. შენგელაიამ. ყველამ ერთხმად აღნიშნა ამხ. შ. რადიანის ნაშრომის ორიგინალობა და მაღალი მეცნიერული ღირსება; ნაშრომში დასმული და გარკვეულია ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალი ახალი საკითხი და საფუძვლიანად არის შესწავლილი დიდი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები.

დისერტაციის საჯარო დაცვისა და პაექრობის შემდეგ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ფარული კენჭის ყრით ამხ. შ. რადიანს მიანიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლების საქმეთა კომიტეტის საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება ამხ. შ. რადიანისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

ამასთან სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლების საქმეთა კომიტეტის საატესტაციო კომისიამ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარდგინების საფუძველზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამხ. შ. რადიანი დაამტკიცა პროფესორის წოდებაში.

სადოქტორო დისერტაციის დაცვა პროფესორ შ. ს. ასლანიშვილის მიერ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. ს. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა შ. ს. ასლანიშვილმა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ჰარმონია ქართლისა და კახეთის ხალხურ სიმღერებში".

თავის დისერტაციაში პროფესორმა ასლანიშვილმა აღნიშნა, რომ ქართლისა და კახეთის მუსიკალურმა ფოლკლორმა, გარემოცულმა საქართველოს მაღალ დონეზე მყოფი ლიტერატურით, არქიტექტურული ხელოვნებით, ფილოსოფიური აზროვნებით და მუსიკალური მეცნიერებით, განვლო განვითარების რთული გზა.

დისერტაციის ყველა ნაწილში, სადაც განხილულია ჰანგების, აკორდიკის, კადანსების განვითარება და განსაკუთრებით, ნაწილში სამოდულაციო გეგმების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მათი რთული სისტემა განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს ქართულ მუსიკალურ კულტურას სხვა ხალხთა ვოკალურ ფოლკლორს შორის.

ქართლისა და კახეთის მუსიკალური ფოლკლორის ანალიზმა ცხადჰყო, რომ ხალხში დარჩენილია სიმღერები, რომლებიც ეკუთვნიან როგორც კერპთაყვანისმცემლობის პერიოდს, ისე ქართული კულტურის უაღრესი გაფურჩქვნის ეპოქას, ე. ი. X-XII საუკუნეებს.

დისერტაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო და მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებში. ოფიციალურმა ოპონენტებმა: პროფესორებმა ხ. კუშნაროვმა და დ. არაყიშვილმა, აკადემიკოსებმა გ. ჩუბინიშვილმა და ს. ჯანაშიამ თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს დიდი მნიშვნელობა შ. ასლანიშვილის ნაშრომისა, რომელიც განირჩევა რა ხალხური სასიმღერო შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მხარის ღრმა მეცნიერული, ყოველმხრივი გაშუქებით, წარმოადგენს საფუძველს შემდგომი გამოკვლევებისათვის ამ დარგში.

პროფესორ შ. ასლანიშვილის სადისერტაციო ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო აგრეთვე აკადემიკოს ბ. ასაფიევისა, პროფესორ კუზნეცოვისა და პროფესორ ბელიაევისაგან.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიაკუთვნა პროფესორ შ. ასლანიშვილს ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის წინაშე აღძრა შუამდგომლობა დამტკიცებულ იქნას ეს გადაწყვეტილება. (საქდესი).

ა. ს. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი გამოფენა ლიტერატურულ მუზეუმში

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში მოეწყო გამოფენა, მიძღვნილი ა. ს. გრიბოედოვის დაბადების 150 წლისთავისადმი. გამოფენა გაიხსნება დღეს, 4 თებერვალს.

გამოფენა ასახავს ა. ს. გრიბოედოვის ცხოვრებას საქართველოში, მის ურთიერთობას ქართველ მოღვაწეებთან. წარმოდგენილია მრავალი უნიკალური მასალა, როგორიცაა: ნინო ჭავჭავაძესთან გრიბოედოვის ქორწინების ჩანაწერი დავთარი სიონის ტაძრიდან, გრიბოედოვის ნაქონი ნივთები (ყუთი—ზარდახშა, სამელნე, საკალმისტრე), ნინო ჭავჭავაძის ნივთები (სამაჯური, მედალიონი და სხვ.), გრიბოედოვის უკვდავი პიესის—„ვაი ჭკუისაგან" გრიბოედოვის დროინდელი ხელნაწერები (8 ცალი) და მისი ქართველი ნაცნობ-მეგობრების (ალ. ჭავჭავაძე, ეკ. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი, მანანა ორბელიანი, გრ. ორბელიანი და სხვ.) პორტრეტები და ხელნაწერები.

გამოფენა ღიას 11 საათიდან 4 საათამდე ყოველდღე, გარდა სამშაბათისა და პარასკევისა.

„კიკვიძე" სტალინირის თეატრში

კოსტა ხეთაგუროვის სახელობის, სტალინირის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა მაყურებელს უჩვენა სეზონის მეორე პრემიერა — გ. დარასელის ისტორიულ-პატრიოტული დრამა „კიკვიძე".

პიესა დასდგა ა. მაისურაძემ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ც. გაზდანოვს, მუსიკა დასწერა დ. ხახანოვმა, ქორეოგრაფი — გრ. ბიდეევი.

პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

თეატრი დასადგმელად ამზადებს ს. კლდიაშვილის პიესას „ირმის ხევი".

ვლ. მელქოევი

დეპეშები

პოლონეთის მთავრობა ვარშავაში გადავიდა

ვარშავა, 2 თებერვალი. (საკდესი). მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ცენტრალურ ორგანოთა ადგილსამყოფლის გადანაცვლების შესახებ, გუშინ პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მუდმივად სამუშაოდ ჩამოვიდნენ კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტი ბოლესლავ ბერუტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ედვარდ ოსუბკა-მორავსკი, ვიცე-პრემიერები ვ. გომულკო და ს. იანუში, აგრეთვე მინისტრები და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელი მუშაკები.

ამავე დღეს შესდგა პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების დედაქალაქში გადმოყვანის, დედაქალაქის მოსახლეობის სასურსათო მომარაგებისა და მისი აღდგენის საკითხები.

გარდა ამისა, მიღებულია გადაწყვეტილებანი სურსათით მომარაგონ პოლონეთის სამრეწველო ცენტრები — კრაკოვი, ლოძი, დომბროვის აუზი, სილეზია, კელცე და სხვა ქალაქები და ოლქები.

რადგან ვარშავა ძლიერ დაანგრიეს გერმანელებმა, ხოლო გადარჩენილ შენობებს კაპიტალური რემონტი ესაჭიროება, მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა ვარშავის სახელმწიფო სადგომთა რემონტის დამთავრებამდე მთავრობის აპარატის ნაწილი დროებით მოთავსებულ იქნას ვარშავის მიდამოებში და ქალაქ ლოძში.

1945 წლის 1 თებერვლიდან პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა მუდმივად იქნება პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში და აქ შეასრულებს თავის მუშაობას.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მონშაუს ტყის რაიონში მოკავშირეთა ქვეითმა ნაწილებმა დასძლიეს მტრის უმნიშვნელო წინააღმდეგობა და წინ წაიწიეს 1.500-დან 2.000 იარდამდე.

უფრო სამხრეთით მოკავშირეთა ნაწილები წინ მიიწევდნენ აღმოსავლეთისაკენ, ამასთან სძლევდნენ ზიგფრიდის ხაზის დაბრკოლებებს; მოწინააღმდეგე მათ თოფ-ტყვიამფრქვევას გაძლიერებული ცეცხლით ხვდებოდა. ხუთ-ნახევარ მილზე ბულინგენის აღმოსავლეთით დაკავებულია გერმანიის ქალაქი ნოიჰოფი; უდენბრაიტში გაათფრებული ბრძოლები გრძელდება.

მოკავშირეთა ნაწილებმა გადალახეს გერმანიის საზღვარი სენ-ვიტის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაიკავეს ლუვი, მიუტცენბახი, გროსლანგენფელდი და მიაღწიეს ბლაიალფის მიდამოებს. მოკავშირეებმა დაიკავეს აგრეთვე ხუხუსშაიდი, რომელიც სამ მილზე მდებარეობს ჰაგენაუს სამხრეთ-დასავლეთით.

მოკავშირეთა ქვეითი და სატანკო ნაწილები კოლმარის ცენტრში შეიჭრნენ; ერთგვარი წარმატება მიღწეულია აგრეთვე ქალაქის აღმოსავლეთ და დასავლეთ გარეუბნებში.

მოკავშირეთა ჯარებმა რაინს მიაღწიეს და ამჟამად იწარჩუნებენ რაინის დასავლეთ ნაპირს დაახლოებით 35 მილ სიგრძეზე სტრასბურგის სამხრეთით.

მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ვისბადენს, კარლსრუეს და ვანეიკელის სინთეზური საწვავის ქარხანას. მსუბუქმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს სატრანსპორტო ობიექტებზე გერმანიაში.

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ სამხედრო ოპერაციები იტალიის ფრონტზე პატრულთა მოქმედებით განისაზღვრებოდა.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 2 თებერვალი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ვლასენიცა—დრინიაჩის სექტორში და სოკოლაც-ხანის, პიესაკ-ვლასენიცის მთელი კომუნიკაციის გასწვრივ იუგოსლაველთა ნაწილები განუწყვეტელ ბრძოლებს ეწევიან გერმანელთა გაძლიერებული მოტორიზებული დივიზიის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს ჩრდილოეთისაკენ გაიჭრას. ბრჩკოს სექტორში დაკავებულია მოწინააღმდეგის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი.

მდინარე ბოსნის ხეობაში, სარაევო-ბროდის სექტორში, გაათფრებული ბრძოლები სწარმოებს გერმანელთა სამთო კორპუსის დივიზიებთან, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ იხევენ უკან. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. მოსტარის სექტორში შეჩერებულ იქნა მოწინააღმდეგის წინსვლა სამხრეთისაკენ.

ბელგრადი, 3 თებერვალი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ბიელინის სექტორში მრავალი დღის ბრძოლების შემდეგ იუგოსლაველთა ნაწილებმა დაიკავეს ბრეზოვო პოლე, რითაც მოშალეს კავშირი გერმანელთა დასაყრდენ პუნქტებს ბრჩკოსა და ბიელინს შორის. მტერმა 550 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით. წამოღებულია დიდძალი იარაღი და საომარი მასალა. ბრჩკოს სექტორში გაფანტულია მტრის კოლონა, რომელიც ჩელიჩისაკენ გაჭრას ცდილობდა.

ვლასენიცა — გრინიაჩის სექტორში მძიმე ბრძოლები გრძელდებოდა.

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ათენიდან გადმოგვცემს, გუშინ ვილაში ათენიდან 20 მილზე გაიხსნა ემისა და საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელთა კონფერენცია.

ომის ბულგარელ დამნაშავეთა გასამართლება

სოფია, 3 თებერვალი. (საკდესი). სოფიის რადიო იუწყება, რომ მიმდინარეობს ომის ბულგარელ დამნაშავეთა გასამართლება ქალაქ ვრაცაში, გორნა-ორეხოვიცასა და ხლევენში. ყველგან იმართება მასობრივი მიტინგები, რომელთა მონაწილენიც მოითხოვენ ფაშისტი დამნაშავეების მკაცრად დასჯას. გორნა-ორეხოვიცაში პროცესთან დაკავშირებით გაიხსნა ანტიფაშისტური გამოფენა, რომელიც ქალაქისა და ახლომახლო სოფლების ათასობით მცხოვრებმა დაათვალიერა.

უცხოეთის ქრონიკა

სლავონიის მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევს იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას. მოკლე ხნის განმავლობაში სლავონიელმა გლეხებმა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლთათვის შეაგროვეს 248 ვაგონი ხორბალი, 332 ვაგონი კარტოფილი, 182 ვაგონი სიმინდი, 24 ვაგონი მუხუდო, 4 ვაგონი ქონი და 100 ვაგონამდე ფურაჟი.

წითელი არმიის წარმატებებთან დაკავშირებით ქალაქ ნიშში (იუგოსლავია) 15-ათასიანი დემონსტრაცია გაიმართა. დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც წარწერილი იყო მისალმებანი წითელი არმიის, მოკავშირეთა ჯარებისა და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისადმი. გაისმოდა შეძახილები მარშალ სტალინის და მარშალ ტიტოს პატივსაცემად.

თბილისის ქალთა პირველი საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის ფრიადოსნები (მარცხნიდან მარჯვნივ): კ. თოდუა, ლ. გველესიანი, მ. ილურიძე, ნ. იმედაშვილი, თ. დოქსოპულო, ი. ?კნაძე, ლ. ქურიძე. ფოტო რ. აკოფოვისა.

თბილისის ამბები

ახალი საწარმოები

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში ახალი საწარმოების ჩამოყალიბების შესახებ. ახალი საწარმოები დაამზადებენ ფართო მოხმარების იმ საქონელს, რაზედაც თბილისში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა. მოეწყობა, მაგალითად, საღებავების დამამზადებელი საწარმო, რომელიც გამოუშვებს — ოლიფას, მშრალ და ფხვიერ საღებავებს, ცარცს და სხვ. ჩამოყალიბებული იქნება აგრეთვე კოსმეტიკისა და პარფიუმერიის საწარმო, რომელიც გამოუშვებს ოდეკოლონს, ნელსაცხებლებს, სურნელოვან პასტას, ემულსიას, ვაქსტალს და სხვა ძვირფას პარფიუმერიას.

ხეხილის სანერგე დიდუბეში

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი თბილისში, დიდუბეში იწყებს ხეხილის და კენკრის დიდი სანერგის გაშენებას. სანერგისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი უკვე გამოყოფილია.

ოთახები მექორწინეთათვის

თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებს დავალებული აქვთ და კონ... და უახლოეს ორ კვირაში მოათავონ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერ განყოფილებათა (მმაჩი) ბინების კეთილმოწყობა. საამისოდ აღმასკომებმა უნდა გამოჰყონ ორ-ორი საუკეთესო ოთახი, დადგან იქ ტელეფონი, მოაწყონ რადიო, გამართონ საჭირო მაგიდები. განსაკუთრებული გემოვნებით უნდა იქნას მორთული ის დარბაზები, სადაც მექორწინეთა ჩაწერა ხდება.

საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობა

თბილისის საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზრები კეთილმოწყობის მხრივ უკანასკნელ ხანებში ვეღარ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. არ კმარა ფარდულები, სავაჭრო მაგიდებზე სივიწროვეა და ა. შ. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გადაწყვეტილია დაწყებულ იქნას ქალაქში არსებული ყველა რვა საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწყობა. ააგებენ ფარდულებს, გამართავენ ახალ მაგიდებს, მოაწყობენ ხორცის საკონტროლო პუნქტებს და სხვ.

ზოოპარკში

„კაპუცინის ოჯახი"

თბილისის ზოოპარკის სამაიმუნე განყოფილებაში ჰყავთ იშვიათი ოჯახი. მას „კაპუცინის ოჯახი" ეწოდება.

კაპუცინის ჯიშის მაიმუნი პატარაა. მას მეტად გრძელი და ძალზე განვითარებული კუდი აქვს, რომელიც ხელის ფუნქციებსაც ასრულებს. კაპუცინის სამშობლო შორეული სამხრეთ ამერიკაა. დედალ-მამალი კაპუცინი თბილისში პირველად ჩამოიყვანეს 1940 წელს. მაშინ ისინი თითო წლისანი იყვნენ.

კაპუცინები, ისევე როგორც შიმპანზეები, მეტად მგრძნობიარენი არიან. ზოოპარკებში ისინი მთელ დღეებს დარბისა და მოწყენილობაში ატარებენ, ვერ ურიგდებიან ტყვეობას და არც მრავლდებიან. ამ მხრივ კაპუცინის ოჯახის გამრავლება თბილისის ზოოპარკში იშვიათ მოვლენად არის მიჩნეული.

თბილისში ჩამოყვანილი კაპუცინები—დედა—„კლარა" და მამა „ვოვკა" დიდ ხანს „ცხვირჩამოშვებულნი" იყვნენ, ტყვეობას დარდობდნენ და სულ ნერვიულობდნენ, მაგრამ ბოლოს შეეგუენ შექმნილ მდგომარეობას და სიმხიარულე დაეტყოთ. გასული წლის 22 სექტემბერს მათ ეყოლათ ვაჟიშვილი. პატარა „ვივი".

საინტერესოა ამ ოჯახის ცხოვრება. „ვოვკა" ფიზიკურად ღონიერია, დინჯი. არ მოსწონს „კლარას" ცელქობა. ხშირად უწყრება თავის „ცოლს", მაგრამ, აი დაიბადა პატარა „ვივი" და, თითქოს საჩუქარი მოხდაო, „ვოვკამ" ხასიათი სრულიად შეიცვალა. უფრო მხიარული გახდა, ალერსი დაუწყო ცოლ-შვილს.

დედას გაგიჟებით უყვარს თავისი პატარა, მაგრამ არც მამა ამჟღავნებს შვილისადმი ნაკლებ სიყვარულს. შობიარობის დღიდან სამი თვის განმავლობაში „კლარას" გულიდან არ მოუშორებია პატარა „ვივი". „ვოვკა" კი ყოველი უცხო ადამიანის მათ გალიასთან მიახლოებისას წუხება, გულისობს, შიშობს, რომ შვილს ზიანი არ მიაყენონ. შობიარობის შემდეგ „კლარა" დასუსტდა, წინანდებურად ვერ უვლიდა შვილს. მაშინ შვილისადმი მზრუნველობა მამამ იკისრა—„ვივი" განუშორებლად ჩახუტებული ჰყავს, არავის აჩვენებს, ეალერსება და სათუთად შერჩეული ტკბილი საჭმელით უმასპინძლდება.

კლარა ამჟამად მესამე კვირაა „ორსულად" არის მეორედ.

ა. შ—ძე

თეატრებში

4 თებერვალს: სახელმწიფო ოპერა—„პიკის ქალი". **რუსთაველის სახელობის**—„ზოგჯერ ბრძენიც შესცდება". **მარჯანიშვილის სახელობის**—„უმზითვო". **გრიბოედოვის სახელობის**—„სამი და". **სომხური**—„სომეხი ქალი". **ახუნდოვის სახელობის** — „ცოლიანი უცოლო". **მუსიკალური კომედიის** — „კოლომბინა". **სანკულტურის**—„გაგრძელება იქნება". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ფარავნელი ბაბუკი".

კინოებში

4 თებერვალს: **რუსთაველის სახელობის** —„ოთხთა გული". **ოქტომბერი**—„ჯარჯი დინჯი ჯაზიდან". **დამკვრელი**—„მხიური ველის ხერენადა". **კომკავშირელი**—„შენით მოხიბლული". **სპარტაკი**—„მაქსიმეს ახალგაზრდობა". **ლუქსემბურგის სახელობის**—„საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ". **26 კომისრის სახელობის**—„უკანასკნელი ღამე".

ო. დოლიძის კონცერტი

დღეს, 4 თებერვალს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში მართავს ესტრადის მსახიობთა პირველი საკავშირო კონკურსის ლაურეატის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ოლღა დოლიძის კონცერტს.

პროგრამაშია კ. გოგიაშვილის, ს. ფაშალიშვილის, მ. პოპელეცის, ი. ნაბატოვის, ი. ზისკინდის, მ. ხერხეულიძის ახალი საესტრადო ნაწარმოებნი.

კონცერტში მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს ფილარმონიის მსახიობები გ. კემელაძე, ბ. ჭიაურელი, გ. ურუშაძე, კ. სუზანაჯიანი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

„უმზითვო"

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის პრემიერა „უმზითვო". სურათზე: ვ. ანჯაფარიძე (ლარისა), პ. კობახიძე (პარატოვი), შ. დამბაშიძე (კნუროვი), ც. თაყაიშვილი (ოგუდალოვა), ვ. გოძიაშვილი (რობინზონი).

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მორიგ პრემიერად გვიჩვენა ა. ნ. ოსტროვსკის ცნობილი დრამა „უმზითვო".

დიდმა რაზნოჩინელმა რევოლუციონერმა ნ. დობროლიუბოვმა, როცა ოსტროვსკის შემოქმედებაში ასახული სამყარო დაახასიათა, სთქვა: „აქ არ არის არც სინათლე, არც სითბო, არც გაქანება: სიდამპლისა და სინესტის სუნი ასდის ბნელ და ვიწრო სატუსაღოს". მართალია, ეს სტრიქონები მანამდე დაიწერა, ვიდრე „უმზითვო" შეიქმნებოდა, მაგრამ ისინი ძალას ინარჩუნებენ ამ პიესის მიმართაც და ზედმიწევნით გადმოგვცემენ ოსტროვსკის მიერ აქ დახატულ სინამდვილეს.

ერთადერთი ნათელი სახე, რომელიც გამოკრთის ამ დაჭაობებული ბნელეთის ფონზე არის ლარისა დმიტრიევნა ოგუდალოვა. იგი ძალიან ჰგავს ოსტროვსკისავე დრამის „ჭექა-ქუხილის" გმირს კატერინას. ლარისას როლს დიდი ექსპრესიით ასახიერებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვერიკო ანჯაფარიძე. მსახიობი მკვეთრი დრამატიზმის ტონებით ჰხატავს ცხოვრების რუტინითა და უხამსობით, ნივთიერი ხელმოკლეობით, ადამიანთა უსულგულობით განაწამები ქალიშვილის სახეს. ვ. ანჯაფარიძემ ამ ტიპის სრულყოფილად წარმოსახვისათვის მოსძებნა მძაფრი აქტიორული საღებავები. მის თამაშში წუთიერი ეფექტები არ არის დომინანტი. მასში იგრძნობა შეურაცხყოფილი ბუნების ღრმა სევდა, დიდი ადამიანური ტრაგედია. ასეთი სულისკვეთებით მიჰყავს როლი მსახიობს სცენაზე გამოჩენისთანავე და პიესის დამთავრებამდე არ ღალატობს არჩეულ გზას.

ეს გზა სავსებით სწორია, თუ გავიზიარებთ ვ. ანჯაფარიძის მიერ როლის გაგებას. ამ მხრივ კი შეიძლება ერთი რამ სადავოდ მივიჩნიოთ: იმ მომენტამდე, ვიდრე ლარისას სატრფო—სერგეი სერგეიჩ პარატოვი კვლავ დაბრუნდებოდეს, თითქოს მას ცხოვრების მიზანიც გაუჩნდა, რადგან უკვე გადასწყვიტა ცოლად გაჰყვეს იული კარანდიშევს. თუნდაც მოჩვენებითი და წარმავალი იყოს ეს მიზანი, თუნდაც წყალწაღებულის მიერ ხავსისათვის ხელის ჩავლებას ჰგავდეს ეს, სულ ერთია, ლარისა მაინც ცდილობს აცოცხლოს, ადგილი მონახოს ცხოვრებაში, გამართლება მოუპოვოს თავის არსებობას ამ ქვეყნად. მაშასადამე, ამდენად თითქოს მას საფუძველიც კი აქვს იმისათვის, რომ პიესის დასაწყისშივე არ იყოს ესოდენ ქუფრი, მოშვებული, დაღვრემილი. მის განწყობილებაში პირველად გარდატეხის წუთი მხოლოდ მაშინ დგება, როცა პარატოვი დაბრუნდება. ლარისასათვის ისევ ხელმისაწვდომი და რეალური შეიქნა მისი ტრფიალების საგანი. ამან კიდევ უფრო რთული და მძიმე გახადა მისი სულიერი ბრძოლა. ამ სცენაური სახის განვითარებაში შემდეგი საფეხური—საბოლოოდ სასოწარკვეთის მომენტი შეპირობებულია იმ გარემოებით, რომ მას სამუდამოდ მიატოვებს სერგეი პარატოვი, ხოლო მოყი პარმენიჩ კნუროვი შეურაცხმყოფელი და უხამსი წინადადებით მიმართავს ლარისას. ვფიქრობთ, ეს სამი მთავარი ეტაპი არის ღირსშესანიშნავი მოვლენა ამ მხატვრული სახის გამოკვეთის დროს და ტიპის ხასიათის გახსნაც ამ გზით უნდა წარმართულიყო.

პიესაში მეტად კოლორიტული ფიგურაა პროვინციული თეატრის მსახიობი რობინზონი. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შოლტია ავტორის ხელში, რომლითაც ამათრახებს მისი თანამედროვეების უარყოფით მხარეებს. რობინზონი თავშესაქცევად ჰყავს გაბატონებულ წრეს. ეს წრე ხშირად აბუჩადაც იგდებს მას, მაგრამ ერთი შეხედვით ამ გალაზლანდარებულ ადამიანში ბევრი ისეთი თვისებაა, რითაც იგი მაღლა სდგას ირგვლივ მყოფ ადამიანებზე. რობინზონის როლს ოსტატურად ასახიერებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვასო გოძიაშვილი. ეგი გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ჯამბაზური ტანისამოსი და საერთოდ პორტრეტული ელემენტები დისონანსად არ იჭრებოდეს მსახიობის კარგ თამაშში.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა დამბაშიძე შესანიშნავად ასრულებს კნუროვის როლს. მსახიობი მხატვრული უბრალოებით წარმოგვიდგენს თავდაჯერებული, ოქროთი გამედიდურებული ბურჟუის სახეს. არც ერთი ზედმეტი და ყალბი შტრიხი არ იგრძნობა მსახიობის ხმასა და ჟესტში.

უთუოდ საინტერესო ტიპი შეჰქმნა მსახიობმა გრ. კოსტავამ კარანდიშევის როლის შესრულებით. ავტორის გააზრებით კარანდიშევი ცხოვრების რუტინის არტახებისაგან თავის დაღწევას ცდილობს, სხვაგვარი ყოფა და კარიერა სურს შექმნას, მაგრამ მაინც ვერ გასცილებია ყოველდღიურობის წუმპეს. მისი ცდა და ნაბიჯი მხოლოდ უმწეო ფართხალს ჰგავს. მსახიობმა დაკვირვებული თამაშით ხორცი შეასხა ავტორის ჩანაფიქრს—სცენაზე ჩვენ ვხედავთ ლონისძიებათა ამაოებისაგან ქანცგამოლეულ, ცხოვრების უკუღმართობით წელში გაწყვეტილ საბრალო მოხელეს.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ს. თაყაიშვილმა ხარიტა იგნატიევნას როლის განხორციელებით კიდევ ერთი მკაფიო სცენიური სახე შემატა მის მიერ დღემდე შექმნილი გმირების რიცხვს. დამაჯერებლად ვეხატავს მსახიობი გაქნილი, ცბიერი, ხელმოკლე ადამიანის ტიპს.

მაღალი შეფასების ღირსია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პ. კობახიძე სერგეი სერგეიჩ პარატოვის როლში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის სასიხარულო გარემოება, რომ ეს მსახიობი ყოველი ახალი როლის განხორციელებით შემოქმედებითს აღმავლობას განიცდის.

მსახიობები ი. ტრიპოლსკი (ვოჟევატოვი), ბ. გამრეკელი (ეფროსინია პოტაპოვნა), მ. სულთანიშვილი (გავრილო) და ა. ბეგალიშვილი (ივანე) თავიანთი დაკვირვებული თამაშით მწყობრ ანსამბლს ხელს უწყობენ.

სპექტაკლს ემჩნევა დამდგმელის—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ტაბლიაშვილის მიერ ჩატარებული საგრძნობი მუშაობა. იგი კარგად არის შეკრული კომპოზიციურად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ მიზანსცენას, რომელთაც კიდევ სჭირდებათ დახვეწა და დინამიურობა. ეს შეიძლება ითქვას, მაგალითად, კარანდიშევის ბინაზე გათამაშებული ცალკე სცენების შესახებ.

სუსტია სპექტაკლის მხატვრული გაფორმება. მესამე მოქმედებაში სავსებით მიუღწეველია მხატვრის განზრახვა — მოეცა ხელმოკლეობისა და უფერული ცხოვრების შთაბეჭდილება. დასანანებელია, რომ ეს დაემართა ისეთ ნიჭიერ მხატვარს, როგორიც არის ი. სუმბათაშვილი.

პ. ბახტურიძე

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

ფილარმონიის დიდი დარბაზი კონსერვატორია, გრიბოედოვის ქ. № 8

ორშაბათს, 5 თებერვალს

ქართული ესტრადის თეატრი

მხატვრული ხელმძღვანელი **კ. კვანტალიანი**, კომპოზიტორი **ა. კერესელიძე.**

მონაწილეობენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ხ. ფორჩულიანი**, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: **ხ. თაყაიშვილი, კ. კვანტალიანი, ა. გომელაური, გ. შავგულიძე, ა. ომიაძე,** მსახიობები: **მ. დავითაშვილი, ლ. ვაჩნაძე, ე. ბარბაქაძე.**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ. ბილეთები იყიდება.

შვილები შურა, ნიკოლოზ, ლენა ოჯახებით, დები ბარბარე, ანა იუწყებიან **დავით ვლადიმერის-ძე ხერხეულიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5/II, 7 ს. გამოსვენება 6/II, 5½ ს. კალინინის, 95.

გრიგოლ და ელენე ლორთქიფანიძეები, ლადო, პოლინა სირბილაძეები იუწყებიან დედის **ევლიტა ზურაბის-ასულ მიქელაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ქსენია, დავით წურწუმიები, ბებიები ნინო, ელპიდე, ბაბუები არქიპო, პორფილე იუწყებიან **გულნარა წურწუმიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 4/II, 5 ს. ქუთათელაძის, 17.

სიძეები პ. მაჰვარიანი, გ. მგალობლიშვილი, შ. ლორთქიფანიძე ოჯახით იუწყებიან **ლიდა ივანეს-ასულ ამაშუკელის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4/II, 2 ს. ბოჭორიშვილის, 52.

მშობლები მაქსიმე და ნინო რუხაძეები იუწყებიან **კოსტა რუხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5/II, 6 ს. პლეხანოვის, 103. გამოსვენება 6/II, 5 ს.

თამარ და ვახტანგ კახეთელიძეები იუწყებიან **ძაგუ ივანეს-ძე გვაჯავას** გარდაცვალებას.

შვილები ლუარსაბ, მიშა, ვარა, ნინო, თამარ, სიძეები, შვილიშვილები იუწყებიან **ელენე გამცემლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5/II, 6 ს. გამოსვენება 6/II, 5 ს. ვორონცოვის, 5.

მეუღლე ზაქარია შვილებით თენგიზით და თამაზით, დედა პარასკევა იუწყებიან, რომ 4/II, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება **ნინო ჩიტოშვილი-გერკეულის** პანაშვიდი.

საქართველოს შახტმშენებლობის ტრესტის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ხამსონ ხაიმის-ძე შათაშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-68-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, პროფკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—2-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 00021